№ 39.

# ივერია

წლიწადი პირველი | 24 ნოემბ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი ივერია გამოვა **1878** წელს იმავე სახით, იმავე პროგრამმით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, სახლი **№ 5.**

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.**

---

**საძიებელი** I. საქართველოს მატიანე: თფილისი, ქუთაისი, იმერეთი და გურია, სიღნაღის და თიანეთის მაზრა.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა:—საფრანგეთი, ინგლისი, ოსმალეთი.—III. ომის ამბები.—IV. გარდამწერელი ქართულის წიგნებისა დავით რექტორი.—V. წერილები დავით რექტორისა.—VI. ბრძოლა რომის დასაპყრობლად.

---

## საქართველოს მატიანე

**ტფილისი.** ბერჯელ თქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში, რომ ზოგან მომრიგებელთ მოსამართლეებს გალში დაუყიდნიათ გლეხთა ვენახები და სახლ-კარი და გლეხნი ხელცარიელნი დაუსვავთ. მომრიგებელნი მოსამართლენი არც იმას მოერიდებიან ამ შემთხვევაში, რომ იგი ვენახები და ბინადრობის ადგილი სახელმწიფო, საეკკლესიო და საბატონო ყოფილა და გლეხს სჭერია მხოლოდ სახმარად. ამისთანა წინდაუხედავმა, ულმობელმა და უკანონო ქცევამ მოსამართლეისამ ის მოახდინა, რომ აუარებელი რიცხვი გლეხთა, ნამეტნავად თელავისა და სიღნაღის მაზრაში, ცის ანაბარად დაგდო, აჰკიდა ზურგზედ მთხოვარის გუდა, წადი და ყველგან დარჩები, ქვეყანა ღონიერიაო. ეს მით უფრო გულის ამღრევი და შეუნდობელი ბოროტებაა, რომ კანონით აკრძალულია კაცს ის გაეყიდოს, რაც მის კუთვნილებას არ არის. მაგრამ კანონებში გამოქნილმა ჭკუამ აქაც სახტომი უპოვა ვითომ კანონს და ამ სახტომს ყური არავინ ათხოვა, თუმცა კი ეგ სახტომი პირველ დანახვითვე ბავშვის ჩხირკედელაობას ჩამოჰგავს. მომრიგებელთ მოსამართლეებმა ის გზა უპოვეს ზემოხსენებულს კანონს, რომ გასყიდვის სიგელში მოიხსენეს „გასასყიდად დანიშნულია მამულის ხმარება უმამულოდო, ანუ ვენახი უმიწოდ.“

როგორ მოგწონთ, ბატონებო, ჭკუის გამჭრიახობა! ეს იმასა ჰგავს, რომ იყიდება ცოცხალი ცხენი უმუცლოდაო. ასეთი სასაცილო ამბავი და მოქმედება, არამც თუ არავინ შეაყენა, არამედ უმაღლესთა სასამართლოებმა ამ გვარი გასყიდვის სიგლები დაამტკიცა კიდეც და მსყიდველს კანონიერი ნასყიდობის სიგლები ჩააბარა. ვინ იყო ამისი პატრონი და გამჩხრეკი? სახელმწიფო საქმეთა გამგეობამ (Управленіе Госуд. Имуществами) ყური მიიყრუა მასზედ, რომ ასე უკანონოდ სახელმწიფო და საეკკლესიო მამულები იყიდებოდა და თუ სადმე კიდევ ვინმე ჩიოდა ამ ბოროტებაზედ, ისევ თავადაზნაურობა. ჩვენ ვიცით მაგალითი, რომ ერთმა თავადმა უჩივლა მომრიგებელ მოსამართლეს, საქმე პა-

ლატამდე მიიყვანა და პალატამ გააუქმა მომრიგებელის მოსამართლისაგან დადგენილი განაჩენი გლეხის სახლ-კარის გასყიდვის თაობაზედ.

ამ კანონის ბოროტად მოხმარებამ დაღუპა მრავალგან გლეხი, მრავალგან მოუშალა ბინა, ცოლ-შვილი უსახლ-კაროდ, უმამულოდ დაუგდო და გუშინდელი მამულის მხმარებელი კაცი, დღეს მთელის სახლობით ბოგანა კაცად გახადა. ამბობენ, ყოფილა თურმე იმისთანა მაგალითები, რომ ესე ხელცარიელად დარჩომილი გლეხი ულაჯობით იძულებულ ქმნილა თავისი შვილი თუ ქალი ლეკებისათვის მიეყიდნოს და მით შეტი მჭამელი თავიდამ მოეშორებინოს. ჩვენ ვიცით, რომ მთელი ერთი სახელმწიფო-გლეხთა სოფელი სიღნაღის მაზრაში გაყიდულია ამ გვარად და ერთს სიღნაღელს სომეხსა აქვს ნასყიდი ჩალის ფასად. ისე გაუბედრია ულაჯო გლეხები თურმე, რომ ნეტარ ხსენებული და ცხონებული ბატონ-ყმობა ამასთან სამოთხეაო.

რად უნდა დაიღუპოს ეგრე გლეხი და რად მივიდა საქმე იქამდის, რომ გლეხნი ესე გააქელვინეს უკანონობას? რატომ ამაზედ ხმა არ ამოიღო სახელმწიფო ქონებათა გამგეობამაო, (Управленіе Госуд. Имуществами), იკითხავს მკითხველი. გლეხ-კაცის უმამულოდ დარჩომას ხომ ზარალი მოსდევს სახელმწიფოსათვის, რადგანაც გლეხია მარტო ხარჯის მხდელი და გარდა ამისა დიდს უბედურებასაც შეადგენს თვით ქვეყნისათვისაც, და რატომ ყური არ ათხოვეს? რატომ არ ათხოვეს ყური იმას მაინცა, რომ ამ უკანონო გასყიდვისა გამო სახელმწიფოს მამული ეკარგება და გლეხი მის პირ-და-პირი მხმარებელი ბოგანა კაცად ხდება? ნუ თუ სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ ესე ყოველი არ იცოდა და არც დღეს იცის! თუ სადმე საწყალი გლეხი სახელმწიფო ტყეში ოდეს რასმეს გამოჭსთიბამს ანუ მოხნავს, ამაზედ ერთს დიდს მიწერ-მოწერას გამართვენ მეტყევები და სხვა აგენტები გამგეობისა, გლეხს სამართალში მიჭსცემენ და ერთს ყოფას და ამბავს ასტეხენ ხოლმე,— რატომ მაშინ ხმას არ იღებენ, როცა ამოდენა მამულები დაეყიდა სახელმწიფოს და გლეხის ტვინის მწოველთა წურბელების კერძო საკუთრებად გახდა.

ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ იცის ესე ყოველი ფერი, ვიცით, რომ ბევრს გლეხს, ამ უკანონობით ხელ ცარიელად დარჩომილს, მიუმართავს გამგეობისათვის, გამგეობას ამ საგანზედ ოქმებიც შეუდგენია და ბოლოს სტოლს ქვეშ ამოუდია. დღემდე გამგეობა ყურსაც არ იბერტყავს, რომ გლეხებს ისევ დაუბრუნდეს უკანონოდ ჩამორთმეული მამულები. მიდიან და მოდიან თურმე ტფილისში იდაჯ გაწვეტილნი გლეხნი, ემუდარებიან გამგეობას გვიშველეთ რამეო, გამგეობას იმის მეტი არა უნდა რა, რომ ოლქის სასამართლოში საჩივარი შეიტანოს და გააუქმებინოს უკანონოდ გაყიდულის მამულების სიგელები, მაგრამ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა სულ ხვალეს იძახის და საწყალი გლეხობა კი პირ-დაღებული ცას შეჭყურებს და ვისაც შეეყრება ხოლმე, ჭკითხავს: ეს ხვალე არ იცით რა დღეა და როდის მოვაო?

---

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

**ქუთაისი.** ქუთაისიდამ იწერებიან 17 ნოემბერს: „ჩვენ ქუთათელნი სიძვირეზე ვჩივით... საჩივლელია როცა ოყა (სამი გირვანქაა) უვარგისის ხორცისა ექვს შაურად არის, მაგრამ უთავბოლოდ და გაურჩევლად კი ვსჩივით... საწყალს გლეხს, რომელსაც ჭირმა საქონელი გაუწყვიტა და იმის მერმედ ხან სახედარით, ხან ჭირს გადარჩენილის უღელის ხარით 30—40 ვერსტის სიშორიდამ მოაქვს გასასყიდი რამ ქუთაისში და თან თრთის, ვაი თუ ეს უღელიც ქალაქში ჭირმა გამიწყვიტოსო, საწყალს გლეხს მეთქი ჩვენ ვახჩობთ და ვაგინებთ ფასზედ ათი შაური რად მოუმატეო; მართლა და სახრჩობელს და საგინებელს კი უანგარიშოთ ვაყრით ფულსა. აი თუნდ, მაგალითად, ავიღოთ ცირკი—ეგ უზნეო და უგონო თვალთმაქცობა. ეს ცირკი სახელწოდებით „ამერიკანული ცირკიო უფ. მანლეისა და ჟერარდისა“ ორი თვე ნახევარია რაც ქუთაისს ჩამოუთრია და ყოველ დღე ვარჯიშობს ჩვენის ჯიბეების დასაბერტყად. ნეტავი რიგიანი წარმოდგენა მაინც იყოს! ხალხი ყოველ დღე მრავალი დადის, ასე რომ ცირკის გამგებელთ კაი გამორჩომა უნდა ჰქონდესთ. გარდა ამისა ქუთაისის წინ დაუხედავი და უაზრო არისტოკრატები ყოველს ღამეს საჩუქარს რასმეს მიართმევენ ხოლმე ზანგს ლოპეცს, რომელიც თურმე თავის საქმეზედ გვარიანია, მაგრამ სხვებს ცირკში

მოთამაშეებს დაუვარდება. ნეტავი ქვეყნის საქმისათვის იყვნენ ეგრე გულ-უხვნი! აბა ერთი საზოგადო საქმისათვის მოჰკითხოვეთ რამე! გროშს არ გაიმეტებენ!

—

**იმერეთი** და **გურია.** „წლევანდელს მოსავალს სამნაირი დრო დაერთო: პირველად მოსავლის პირი მშვენიერი იყო და იმედს გვაძლევდა ჭირნახულის ბლომად მოსვლისას. მერმე დადგა ხანგრძლივი გვალვა და ვისაც კი რამე ჰქონდა დათესილი, გაუხმო და ყოველივე იმედი გაუქარწყლა. ბოლოს ხელახლად დადგა ჭირნახულისათვის კეთილი დარი და მოსავლის პირი გამოიცვალა. რაღაც ბედათ, გარდა რამოდენიმე გვამთა, ყველას გვიან მოუხდათ დათესვა, ასე რომ გვალვის დროს თესლი უთავთავოდ იყო და როდესაც კაი ტაროსი დადგა, ყანებმა უცებ იცვალეს ფერი: გუშინდელი თითქმის მიმჭკნარი სიმინდი და სხვა ამგვარი გადამწვანებულს, თავ-გაშლილს და მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდა. ამ რიგმა ამინდმა გასტანა და ბლომად მოსავალიც მოვიდა. სიმინდი ომიანობის გამო კარგად იყიდება და თუმცა ფასმა ყოველფერზედ აიწია უსინიდისო ვაჭართა შეთქმულობით; თუმცა გლეხი რასაც წინად აბაზად ყიდულობდა, დღეს ოთხ-აბაზად ყიდულობს და ამის გამო გაჭირვებულ ცხოვრებაშია *), მაგრამ იგი დალოცვილი თავის მხრით ფასს არრას უმატებს და ეხლანდელს დროში ბათმანს სიმინდს ჰყიდის აბაზ-ნახევარ შაურად და ფქვილს ხუთ-შაურად. მეტი კიდევ გინდათ დასამტკიცებლად, რომ იგია

„ერი პურადი, გულადი, მებრძოლი შავის ბედისა?..“

ყოველგან ლიხის მთის აქედ პირუტყვის ჭირმა რაკი ამოწყვიტა, რისაც ამოწყვეტა შეეძლო, რასაკვირველია „მისუსტდა.“

ი—ა ი—ძე.

—

— ჩვენ შევიტყეთ, რომ სიღნაღის მაზრაში ერთს ვიღასაც გამოჰჩენია ყალბი ოც-და-ხუთ მანეთიანები, რომელიც მისთვის შეუპარებიათ ქალაქის სირაჯებს ღვინის ფასში. ამაზედ გამოძიება არის თურმე დანიშნული და შეწამებული კაცი და მასთან ორიოდე სომეხიც ამ საქმეზე სამართალს ხელში ჩაუგდია.

*) სიმინდის მეტი იმერეთის, სამეგრელოს და გურიის გლეხს არაფერი აწუხებს: იგინი, ღვთის მადლით, არ იცნობენ ალექთოებს, აგენტებს და სხვას ამგვარს. (კორრესპონდენტი).

— ჩვენ შევიტყეთ, რომ სოფლებში ყალბი აბაზიანები თურმე გახშირდა. ამას წინად რამდენიმე ამისთანა ყალბი აბაზი თიანეთის მაზრაში გამოჩენილა, იქაურ მაზრის უფროსისათვის წარუდგენიათ და მაზრის უფროსიც შეჰსდგომია, რომ ამ ყალბის აბაზების თავდაპირველი გამომღები იპოვოს. ჩვენ ვურჩევთ ხალხს, რომ აბაზიანების მიღების დროს კარგად ჰსინჯოს და ისე მიიღოს. ყალბი აბაზიანები ისე კარგად არის გაკეთებული, რომ თვით ამა ცნობის გადმომცემელი მოტყუებულა, მაგრამ კაცმა კარგად რომ დააკვირდოს თვალი კი, შეატყობსო. ყალბი აბაზიანები თურმე კალისა არის.

—

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.** დღე და დღე საფრანგეთის საქმე უფრო მძიმდება და განსაცდელი ემატება. ერთის მხრით მშვიდობის მოყვარეს და უფრო გონიერს ნაწილს საფრანგეთისას ძილს უფთხობს შიში რევოლიუციის კვეთებისა, მეორეს მხრით—შიში მისი, რომ უჯიათი და წინდაუხედავი მაკ-მაჰონი რესპუბლიკას ბოლოს მოუღებს ჯარის შემწეობითა. პირველის შიშს, ჩვენის ფიქრით, საბუთი არა აქვს, რადგანაც რესპუბლიკელნი მეტად ცდილობენ, რომ მშვიდობიანობა არას გზით არ დაირღვას, მეტად სიფთხილით, გონიერად და ზომიერად იქცევიან. მეორეს შიშს კი მძლავრი საბუთი აქვს. ჯერ როცა პალატის კრების დღე მოახლოვდა და თვით კრების დღესაც, მაკ-მაჰონის ბძანებით, ჯარები თოფ-იარაღს ქვეშ ყოფილან, ცხენოსან ჯარს 2 და 3 ნოემბერს საღამოს 7 საათამდე ცხენები შეკაზმულნი ჰყოლიათ და ჯარისათვის ტყვია წამალი ერთი ორად მეტი დაურიგებიათ. ეს ნიშნები მეტად აგ-გუნებისანი არიან.

ამ ჟამად სხვა და სხვა დასნი საფრანგეთის წარმომადგენელთა იბრძვიან პალატში და სენატში. მთავრობა ძალიან ცდილობდა, რომ ამ ორთა უმთავრესთა საქმის გამგებელთა შორის შუღლი რამ ჩამოეგდო და ერთი მეორისათვის გადაეკიდნა და პირში მიეცა. ეს გულის წადილი აუსრულდა კიდეც მთავრობას და დღეს სენატი პალატს ეურჩება და ეწინააღმდეგება. თვითონ მთავრობაც ცხადად იწვევს პალატს საომრად. ეს იქიდამა ჰსჩანს, რომ ძველის სამინისტროს გადადგომის შემდეგ მაკ-

-ჰონმა ახალი შეადგინა იმ გვამთაგან, რომელნიც ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობას არ ეკუთვნიან. ეს წინააღმდეგია ყოველივე წესისა და რიგისა, სადაც კი კონსტიტუცია არსებობს. მაგრამ მაკ-მაჰონს წესისა და რიგისა რა ჯავრი აქვს, იგი მხედარი კაცია და მუშტზედ უნდა იყურებოდეს.

ესეა თუ არა, ხოლო ეს კი აშკარაა, რომ მაკ-მაჰონი ბონაპარტიელებს ხელს უწყობს და წყალობის თვალით უყურებს. ამ მოკლე ხანში მაკ-მაჰონის შინა-კაცი და მდივანი ნაპოლეონის შვილთან ყოფილა გაგზავნილი ინგლისში. ამბობენ, ახალი სამინისტროცაო სულ ბონაპარტიელთაგან არის შედგარიო. ყოველ ამის გამო ბონაპარტელებს დიდი იმედი გაჰღვიძებიათ, ჩვენ გავიმარჯვებთო, როცა მაკ-მაჰონს პრეზიდენტობის ვადა შეუთავდებაო, ესე იგი, 1880 წელსა. მაშინ იმედი აქვთ, ხალხს ეკითხებაო და ხალხი საფრანგეთის ტახტზედ დაასმენებს ნაპოლეონის შვილსაო. ნაპოლეონის შვილსაც ამ ამბავზედ საღერღელი აშლია და უთქვამს: ოღონდ ხალხს კი ეკითხოსო და რასაც ხალხი ინებებს, თავს მოვიხრი და დავემორჩილებიო.

ამას წინად მოხსენებული იყო ჩვენს გაზეთში, რომ ალბერტ გრევიმ, რესპუბლიკელმა, პალატში წინადადება შეიტანა, რომ ყოფილი სამინისტრო მაკ-მაჰონისა გამოძიებას მიეცესო ბოროტ-მოქმედობისათვისაო არჩევნის დროს. ამაზედ პალატში დიდი და ცხარე ბაასი გაიმართა. მინისტრებმა, რომელიც მაშინ ჯერ გადამდგარნი არ იყვნენ, უკანონობად ჩაჰსთვალეს გამოძიების დანიშვნა და სამინისტროს მოთავემ ჰერცოგ ბროლჰიმ ძალიან მოხერხებული სიტყვა წარმოჰსთქვა ამის თაობაზედ, და თავის სიტყვა ამით დაამთავრა: „ეხლა, თუ გინდათ, დაიწყეთ გამოძიება. მე, როგორც მთავრობის წევრი, კანონის სახელით უარ-ვჰყოფ და ვეწინააღმდეგები მაგ გამოძიებას; როგორც მამულის-შვილი საქვეყნოდ ვამბობ, რომ მაგ გამოძიებით მოგროვილნი ცნობანი ტყუილნი იქმნებიან; მე ამას ვჰსჩივი წინაშე ისტორიისა და ჩვენის ქვეყნისა." გამბეტამ უპასუხა ბროლის.

„თუო, ჰსთქვა გამბეტამ: ალბერტ გრევის წინადადების საბუთი მოემატა, ეგ საბუთი არის მოხერხებული და ეშმაკური სიტყვა, ეხლა აქ წარმოთქმული ბროლისაგან. რაც ბროლიმ ჰსთქვა, მასში ცხადად ისმის რომ მინისტრები უჯიათობენ და ეურჩებიან ჩვენის ქვეყნის ნებას და ეგ უჯიათობა და ურჩობა შვიდი წელიწადია მახესავით დაეგო ჩვენს ქვეყანას, რომელიც ცდილობს მაგ მახისაგან თავი დაიხსნას როგორმე. 1876 წ. ბროლი ამბობდა, რომ საფრანგეთი მოატყუეს მაკ-მაჰონის სახელითაო; დღეს კი იმახის, რომ 1877 წ. არჩევანი მოახდინეს მით, რომ ხალხს აშინებდნენო. იგი გვიმტკიცებს ჩვენ, რომ ეხლანდელი პალატა შემდგარია მისგამო, რომ ხალხს აშინებდნენო, თუ ამგვარს პალატს არ ამოარჩევთო, ომი ასტყდებაო. ეს ეშმაკობით სავსე სიტყვა პირველზედ უარესი და უპატიოსნოა, და თუ პალატს ხელმეორედ დაითხოვენ, ისევ ეს ბოლო ექმნება. ჭეშმარიტება იმაშია, რომ 16 მაისს ხალხის წარმომადგენელთა უმცირესობამ ძალად ჩაიგდო ხელში უფლება; აი აქ იყო ბოროტად ხმარებული სახელი მაკ-მაჰონისა, აი აქ იყო ბოროტ-მოქმედება, რომელიც არ მოერიდა მძიმე საქმეს და საქმე უფრო გაამძნელა. მთავრობამ ძალად გამოჰსტაცა სენატს პალატის დათხოვნის ნება-რთვა და ამით ისარგებლა მთელი ხუთი თვე, პირში ბურთსა ჰსჩრიდა ხალხს მოსყიდულის გაზეთებით და დაბეჭდილის წერილებით. ერთი უნდა ვიკითხო: საიდამ შოულობდა მთავრობა ფულს, რომელიც საჭირო იყო ამ გვარის ქცევისათვის? (პალატის მარცხენა მხარემ, ესე იგი, რესპუბლიკელთ დასმა ეს სიტყვა მოუწონა გამბეტას). სამღვდელოებაც კი ფეხზედ წამოაყენა მთავრობამ თავისის წადილის აღსასრულებლად და ამ სახით ღვთის მსახურნი სამინისტროს მოსამსახურებად გარდააქცია.

„ყოველმა ამან 40 ადგილი მოუპოვა სამინისტროს ქურდობისა და ფლიდობის შემწეობითა. (ქება მემარცხენეთაგან. მემარჯვენენი, ესე იგი, რესპუბლიკის წინააღმდეგნი ყვირიან და ყვირილით უნდა ხმა გააწყვეტინონ გამბეტას. პალატის პრეზიდენტი ჰსთხოვს გამბეტას უკანასკნელი სიტყვები ახსნას) გამბეტა ამბობს: ვიდრე გამოძიება არ გაამტყუნებს ჩემს სიტყვებს, მე რაც ვჰსთქვი, აღარ გადავჰსთქვამ. მთავრობა აშინებდა ხალხს, რომ არეულობას მოახდენენ რესპუბლიკელნიო და ამის ვრცელს ამბებს აწერინებდა კალმით, რომელიც დაქრთამული და მოსყიდული ჰქონდა შინა-საქმეთა მინისტრსა. რა სახელი უნდა დაერქვას ამ ჩირქიანს ქცევას, რომლის ვექილობაც ვერავინ გაბედა, როცა მთელი ქვეყანა ჰკიცხავდა? (ქება).

მთავრობას არ უნდა დაჰვიწყებოდა, რომ ღირსეულმა უფლებამ თვისთა მოპირდაპირეთა ღირსებაც უნდა დაიცვას და არას დროს თავი ისე არ უნდა დაიმდაბლოს, რომ ჟურნალ-გაზეთობა ცილის მწამებელ საშუალებათ გახადოს.“

გამბეტამ დაუმატა, რომ მე წარვუდგენო გამომძიებელთ რა ცილებიც შემწამეს მეო, ჩემზედ მთავრობა რა ხმებსა ჰყრიდაო და ბოლოს ამბობს:

„მე არც ერთის წოდების კაცი არა ვარ; მე ვარ კაცი ჩემის დროებისა. პრეზიდენტი სამინისტროსი მაგეთი კაცი არ არის. იგი ბონაპარტიელების ნების მიმდევარი კაცია, იგი შეიქმნა მათის ნების აღმასრულებლად, იგი ცდილობდა სახელი ეშოვნა იმისთანა ქცევით, რომელიც მარტო იმპერიის საკადრისია.“

ამის შემდეგ გამბეტა ამტკიცებდა პალატის წინაშე, რომ გამომძიების დანიშვნა კანონის წინააღმდეგი არ არისო; რომ უკანონობა ის არისო, თუ სენატი ხალხის სურვილს ყურს არ ათხოვებსო და ხელმეორედ დაშლის ესლანდელს პალატსაო.

ბოლოს გამბეტამ ამით დაასრულა თავისი სიტყვა: „მე გიწვევთ ყველას ვინც კი ხართ, კონსერვატორები, თუ ლიბერალები, გაფიცებთ ვისაც კი გსურთ მშვიდობიანობის ჩამოგდება, რომ თავს იდვათ თავისუფლების საქმე და ჩამოართოთ უფლება ამ უფლების უღირს სამინისტროსა.“

გამბეტას სიტყვის შემდეგ გაიმართა კინკლაობა რესპუბლიკელთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის, ზოგმა უმართებულო სიტყვაც ისმარა და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ პალატამ გამომძიება დანიშნა ხმითა უმრავლესობით.

ამ განაჩენის შემდეგ ბროლი და მისი ამქარი მალიან ცდილობდნენ სენატში, რომ სენატმა ეს პალატის განაჩენი უკანონობად იცნოს. სენატშიაც ამ საგანზედ ცხარე ბაასი გაიმართა, რესპუბლიკელნი ამტკიცებდნენ, კანონიერებას და წინააღმდეგნი უკანონობას. ბოლოს ხმითა უმრავლესობით სენატმა პირდაპირ არა, მაგრამ ღობე-ყურეს მოდებით კი, ამცნო საფრანგეთს, რომ პალატის ქცევა ამ შემთხვევაში უკანონოა.

ხალხის წარმომადგენელთა შორის ამ უკანასკნელს დროს ხმა დადის, რომ სენატი ამ პალატის დათხოვნაზედაც უარს არ იტყვისო. რესპუბლიკელთ დიდად ეშინიანთ თურმე, აი ერთს მშვენიერს ღამეს წამოგვივლიან და დაგვიჭერენო. მაგრამ მაკ-მაჰონს დაუბარებია სენატისა და პალატის პრეზიდენტები და დაურწმუნებია, რომ ეგ ტყუილ-უბრალო ხმებიაო, შიში ნურაფრისა ნუ აქვთო.

—

**ინგლისი.** აი რას იწერება ერთი კორრესპონდენტი ინგლისის პოლიტიკის თაობაზედ: „ისტორიამ ბევრი მაგალითი არ იცის იმისთანა, რომ ერთს ღამეს ისეთი ძლიერი ციხე-სიმაგრე აღებულ იქმნას, როგორიც ყარსია. მეომართა მიხედვით იერიშით აღება ყარსისა დიდი და ბრწყინვალე საქმეა ჩვენის საუკუნისა. საპოლიტიკო მნიშვნელობითაც ყარსის აღება მეტად დიდი საქმეა ასე, რომ ამ ჟამად ყველას ენაზედ ადგა, —ამის შემდეგ ინგლისი რა გზას დაადგებაო და რასა იქმსო. ლორდ ბიკონსფილდის გაზეთმა, „Morning Post“-მა ხმა ამოიღო კიდეც და ამბობს, რომ ყარსის აღებამ ინგლისის ინტერესებს ძირი შეურყიაო. საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ **1854—1855** წ. ინგლისის თვალში ყარსს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ისე დიდი რომ ინგლისმა ამ ციხის გასამაგრებლად თავისი ჯარიც მიაშველა და უკეთესი თვისი ღენერალი ვილიამსი გაგზავნა და ერთობ დიდს ცდაში იყო, რომ ეს ქალაქი არ წაერთმევოდა ოსმალებს. ყარსის აღება ისეთის მნიშვნელობისა არის, რომ ინგლისი ხლმით ხელში მიეშველებოდა დღესვე ოსმალს, რომ ინგლისის ქადილს გამბედაობაც ზედ მოსდევდეს. რუსეთში, რასაკვირველია, კარგს არას მოელიან ინგლისისაგან, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ინგლისი საქმეს განწირულებამდე არ მიიყვანს და ბოლოს, როგორც იქნება, დაემორჩილება საქმის აუცილებელს მიმდინარეობას, თუმცა ბევრს კი იყვირებს. გერმანია არას შემთხვევით არ მიუშვებს ინგლისს, რომ ოსმალოს მიეშველოს, ანუ რითმე შეუშალოს რუსეთს ჯილდო გამარჯვებისა. „Memorial Diplomatique“ ამტკიცებს, რომ ინგლისი გულდაშფოთებით უყურებს, რომ დღე და დღე გერმანია და რუსეთი უფრო და უფრო ერთმანეთს უახლოვდებიან; ამის გამო ინგლისი თვის აღჭურვის მზადებაში და თვალ-ყურის ჭერისათვის თვალებ გაფაციცებულია. მაგრამ არა მგონია გერმანიას ინგლისმა ამ საქმეში წინ წაასწროს. გერმანია, მართალია, აღჭურვას არ შეჰსდგომია, მაგრამ რად უნდა აღჭურვა მაშინ, რო-

დესაც ყოველთვის მზად არის და აღჭურვილია და ყო-ველთვისაც შეიძლებს მარტო ერთი დაემუქროს და ინ-გლისი შეაყენოს ისე, როგორც შეაყენა რუსეთმა ავს-ტრია 1870 წ., ძლევა მოსილის გერმანიის წინააღმდეგ გამზადებული. ინგლისში კარგად იციან, რომ გერმანიის მუქარას საქმეც ზედ მოსდევს ხოლმე, და ამიტომაც ინ-გლისში გერმანიაზედ გულდასხეთქებით ლაპარაკობენ."

„მორიგება ოსმალოსთან ჩვენი საკუთარი საქმეაო, ეს უთქვამს ამ მოკლე ხანში ერთს რუსის დიპლომატსა; ამ აზრზედ დგას თვით გერმანიაცა, ინგლისი კი ამისი წინააღმდეგია და დღეს თუ ხვალ ინგლისსა და გერმა-ნიას ამ საგანზედ კინკლაობა მოუვათ. შესაძლოა რომ როგორც სხვას ისეც ინგლისს რომელიმე მეომართა მხა-რე შეამდგომლობა ჰსთხოვოს, მაგრამ აქედამ სრულე-ბით ის არ გამოდის, რომ ინგლისის ნებაზედ იყოს პი-რობანი მორიგებისა.

თქვენ იცით, რომ გერმანიას ეხლა წინ უდევს დი-დი და ძნელი საქმე; მას სურს რომ, პირველი, ზავი მე-ომართა შორის დამოკიდებული იყოს განსაკუთრებით რუსეთისა და ოსმალოს შორის მორიგებაზედ და, მეორე, რომ იმ საზღვრებს არ გადასცილდეს, საცა ეხლა მოქ-მედობს. ამისთვის ყოველი მეცადინეობა მიქცეულ უნდა იქმნას მასზედ, რომ ავსტრიამ არ უმტყუნოს გერმანიას და რუსეთს. ჯერ აქნობამდე გერმანია კმაყოფილია ავს-ტრიისა."

ეგრეა თუ არა ინგლისის საქმე, ნამდვილი არვინ იცის. რაც უნდა იყოს ინგლისის საპოლიტიკო კაცები ისე წინ დაუხედავნი არ არიან, რომ ტყუილ-უბრალოდ მუქარა გაჰსწირონ. ინგლისის გაზეთები იწვევენ მთავრობასა და ამბობენ: რა კი ყარსიც დაეცაო, ეხლა დროა, რომ ინგლისმა თავის თავს მოუაროსო, თორემ მერე გვიანღა იქნებაო. „Сѣверный Вѣстникъ"-ის კორრესპონდენტი იწერება, რომ ლონდონში თავი მოიყარეს მინისტრებმაო და იმ აზრზედ დადგნენო, რომ ან ეხლა უნდა ჩავერიოთ საქმეშიო და ან არაოდროსაო; ინგლისში ამბობენ თურმე: კეთილგონიერება ამას ითხოვსო, რომ მეომართა შერი-გება ვჰსთხოვოთო, და თუ რუსეთი შერიგებას არ მო-ინდომებს, ომი გამოუცხადოთო. თუ ინგლისი ხელს არ გამოიღებს, ვიდრე რუსეთი ძლევით შემოსილება სრულია-დაო, მაშინ ინგლისი გამოეთხოვოს თავის დიდე-ბას და მომავალსაო.

ინგლისის გაზეთი „Standard" ამბობს, რომ ინ-გლისმა უნდა გაათვითხილოს რუსეთი განა მარტო სიტ-ყვითაო, საქმითაცაო და მერე იმისთანა საქმითა, რომ ცხადად უჩვენოს რუსეთს საზღვარი, რომლის იქით რუსეთი არ უნდა გადვიდესო, თუ უნდაო ინგლისის ჯარს არ შეესხალოსო. ხოლო რადგანაც შეუძლებელია რუსეთის იმედზედ დარჩეს კაციო, ამისათვის მაინც და მაინც სა-ომრად მზადებაში უნდა ვიყვნეთო.

ლონდონიდამ „Петербургскія Вѣдомости"-ში იწე-რებიან, რომ ინგლისის ელჩი ოდო რასსელი ამაღამ მოულოდნელად წავიდა ბერლინს და თან წაიღო დიდად შესანიშნავი დეპეშები დერბისა, საგარეო საქმეთა მინის-ტრისა, გერმანიის მთავრობასთან მისაწერიო. ერთი ნემეცური გაზეთი კიდევ ამბობსო, რომ უფროსი ზედამყურებელი ინგლისის ციხე-სიმაგ-რეებისა დენერალი ლინტორნ სიმური მიდის ხმელთაშუა ზღვაშიო გიბრალტარისა და მალტის სიმაგრეების დასა-ხედავადაო. ყოველს ამას იქნება ცუდი არა მოჰყვეს რა, მაგრამ ვერაფერი ნიშნები კია, სწორედ მოგახსენოთ. მაინც და მაინც არ ვინ იცის ხვალინდელი დღე რას მოიტანს. ეს კი საჭიროა საცნობელად, რომ 18 ნოემ-ბერს ტფილისში ლონდონიდამ ამბავი მოვიდა უფრო სამშვიდობო, ვიდრე დასაფეთებელი. იწერებიან, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ დერბის დეპუტაცია მისვლია და უთხოვნიათ მალტის ციხეში ჯა-რი მოუმატოს და ბოსფორში ხომალდები გაგზავნოს. მაგრამ მას პასუხად უთქვამს, რომ ჯერ არავითარს მი-ზეზს ვერა ვხედავ ნეიტრალიტეტობიდამ გამოსვლისა-საო, სტამბოლს ჯერ არავითარი შიში არა აქვსო და სუეცის არხს რუსეთი არ ერჩისო. როცა საჭირო დრო იქმნება, ინგლისიო თვისას ეცდებაო, რომ შერიგება ჩა-მოაგდოსო. თუმცა მართალია, ინგლისისა და ინდოე-თის შორის გზა ეფრატზედ მიდისო, მაგრამ ვიდრე სუეცის არხზედ გზა შეკრული არ არისო, იმ დრომდე ეს არხიც სამყოფია ინდოეთში მისვლა-მოსვლისათვისაო.

ვერაფრად იამებოდათ ოსმალთა მომხრეთ ამ გვარი სიტყვა ინგლისის მინისტრისა. მაგრამ ვინ იცის? დიპ-ლომატების წესია, ერთს იტყვიან ხოლმე და სხვას გა-იფიქრებენ. ესა აქვთ ყველას ხელზედ დახვეული და ამიტომაც ამბობენ: დიპლომატების სიტყვას ბაჟი არა აქვსო.

ოსმალეთი. სტამბოლში თან-თან შერიგების მომხრენი მრავლდებიან. ინგლისის გაზეთს „Standard"-ს ჰსწერენ სტამბოლიდამ, რომ მინისტრების კრება იყო და იქ ყველანი და ნამეტნავად ხონთქარი იმ აზრზედ დადგნენ, რომ საჭიროა ეს ომი როგორმე გათავდესო, რადგანაც განგრძობა მისი აურიცხველს უბედურებას მოუტანს ორივე იმპერიასაო. ამბობენ მთავრობის კაცთა აშკარად ვერ გამოუთქვამთო თავისი სურვილი შერიგებისა ხალხის შიშითაო. ჯერ თურმე ყარსის დაცემის ამბავიც სახალხოდ არ გამოუცხადებია მთავრობასაო. სტამბოლში თურმე დიდი უკმაყოფილება არის.

## ომის ამბები

— ინგლისის გაზეთის «Daily News»-ის კორესპონდენტი ვერანკალიდამ 10-ს ნოემბერს იწერება: „გუშინ დიდი მთავარი ყარსში შევიდა დიდის ყოფითა, ხალხი ესალმა და მორჩილების ნიშნად თავი დაუკრა. ახლა ცნობაშია მოყვანილი, რომ ოსმალთა მეციხოვნე ჯარი 20,000 ყოფილა და იერიშით მისული რუსის ჯარი 18,000. ქალაქი სავსეა ოსმალთა დაჭრილებითა და ავად-მყოფებით. მკურნალნი ძალიან ცოტანი არიან, სახადი-საოფლე ძალიან გახშირებულია, სიცივეებიც ძალიან არის. თათრები და სხვა ირეგულიარის ჯარის-კაცნი დაგლახობენ ქალაქში, დღეს კი წესიერება უსათუოდ დაიდგინება. ოსმალთა დაჭრილების და ავად-მყოფების სიმრავლე საქმეს მეტად უძნელებს რუსებსა."

— „Deutsche Zeitung"-ს ცნობა მისვლია, რომ ჩვენს ჯარს დაუპყრია ქალაქი ტომქი, რომელიც არზრუმის ჩრდილოდ მდებარეობს. იერიშით აღება ყარსისა და თვით იერიშის განწყობა ღენერალს ლორის-მელიქოვს მკუთვნისო. ოსმალთ სამი ხომალდი მოუმზადებიათო, რომ სტამბოლიდამ ჯარი გადაასხანო მცირე აზიაშიო. ეგ ჯარი არზრუმის საშველად არის დანიშნულიო.

— გაზეთს «Петербургскія Вѣдомость»-ს ჰსწერენ ბელგრადიდამ, ვენიდამ და ბუხარესტიდამ, რომ ოსმან-ფაშას ლაპარაკი აქვს რუსებთანაო პლევნის დათმობისა და იარაღის დაყრის თაობაზედაო და ამისათვის ბუხარესტში დიდ-ძალის სურსათის მზადებას შეუდგნენო.

— რუსულ გაზეთში «Русскій Міръ»-ში აღწერილია ამ ოსმალოს ომში რუსებს რამდენი ტყვე დარჩენია და რამდენი ზარბაზანი. ამ გაზეთის ანგარიშით გამოდის, რომ ტყვედ დარჩენია 19 ფაშა და 39,840 მეომარი კაცი და ზარბაზანი წაურთმევიათ ექვსას შვიდმეტი.

— რიონის მხედრობის ერთს რაზმს პოლკოვნიკის ყაზიბეკის წინამძღოლობით ხუც-უბანი ხელახლად დაუპყრია.

ამ ერთის კვირის განმავლობაში შესანიშნავი ომი არსად არ მომხდარა. დუნაიზედ ყოველ დღე სროლაა ქვეით სხვა და სხვა ადგილს, მაგრამ შესანიშნავი ომი კი ჯერ არსად ყოფილა. პლევნის ამბავს დღე-დღეზედ მოელიან, რადგანაც იმედოვნებენ, რომ ოსმან-ფაშის ჯარს საჭმელი მალე შემოაკლდებაო და, რადგანაც რუსის ჯარისა შემორტყმული არის, რომ ოსმან-ფაშა მის გარღვევას ვერ გაბედავსო, ამიტომაც დღესა, თუ ხვალ თვითონ გამოვა და იარაღს დაჰყრისო.

## გარდამწერელი ქართულის წიგნებისა

### დავით რექტორი

დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ძველ დროს ჩვენს მწერლობაში გარდამწერელთ და ამ გვამთაც მწერლობის შესწავლაში იმათი ცნობა ძალიან საჭირო რამ არის. თუმცა წარსულ საუკუნეში 1709 წ. ვახტანგ მეფემ სტამბა დააფუძნა, მაგრამ მარტო საეკლესიო წიგნების ბეჭდვას უნდებოდა ის ერთად ერთი სტამბა. ამასაც რამდენი ფათერაკი დაემართა ჯერ ვახტანგის მეფობის დროს და მერმე ქალაქის აოხრების დროს 1795 წელს. ამ გვარათ ჯერ არამც თუ მაშინ, ჩვენს დროსაც ახლა სტამბას ის ყოვლად მოძიმენი ძალა არა აქვს, რაც უნდა ჰქონდეს: დღესაც მრავალსა და მრავალს დიდ წიგნებს გადამწერლები ჰყავს და გადაწერით ვრცელდება. რასაკვირველია, რომ ძველს დროში ხომ გადაწერას დიდი ადგილი ეჭირებოდა.

გადაწერა იაფი არ იყო, მაგალითად, ვეფხვის-ტყაოსნის გადაწერაში რამდენსამე ძროხას აძლევდნენ. იყვნენ ორგვარნი გარდამწერნი: ფასით გადამწერნი და მწიგნობრობის მოყვარენი. ერთნიც და მეორენიც დახელოვნებულნი იყვნენ ასოთა მშვენიერის ხელით წერაში, რომელიც მხოლოდ დიდის ხნის ვარჯიშობითა და წარმატების მეცადინეობით მოიპოვება. ეხლანდელი წერის შნო ვერასოდეს ვერ შეედრება ძველ წერის შნოსა. საზოგა-

დოთ ეს ყველგან ასე მომხდარა ევროპაშიაც, სადაც სტამბა შემოსულა და გადამწერლების ხელობა გაუქმებულა.

ჩვენში გადამწერლებს პატივცემული ადგილი უჭირავთ მწერლობაში იმით, რომ იმისთანა უსტამბობის დროს ერთად ერთნი გამავრცელებელნი იყვნენ მწიგნობრობისა. თუმცა მრავალი აოხრება მოსდა საქართველოში, ქვა-ქვაზედ აღარ დარჩა, მაგრამ მთელის ათას ხუთასის წლის განმავალობაში მწიგნობრობა საკვირველის მედგრობით დარჩა. რასაკვირველია მრავალი უძვირფასესი მარგალიტი შთანთქა მტრის აოხრებამ, მაგრამ მაინც და-მაინც მრავალი გადარჩა.

ამის გადამრჩენელნი იყვნენ გადამწერელნი.

ამ გადამწერლებში უპირველესი ადგილი უჭირავთ მწიგნობრობის მოყვარეთა, რომელნიც თავისთვის ანუ თავის მეგობრებისთვის სწერდნენ უსასყიდლოდ. ესენივე სწერდნენ თავის ბიბლიოთეკისათვის, და იმ საკუთარის განზრახვით, რომ არ დაიკარგოსო. ამ გვარათ ერთის თაობიდამ მეორეს თაობაში გადადიოდა მწიგნობრობის სიყვარული, გადამწერლობა, წიგნების გავრცელება, შენახვა და დაცვა. ზოგი გვარეულობა რამდენისამე საუკუნის განმავალობაში ამისთანას შრომით მთელს საქართველოში ცნობილი იყო. ჩვენ შეგვიძლია კიდეც დავასახელოთ: ამისთანა გვარი იყო და ჩვენამდე ვიცით ალექსიძენი, (ალექსიევ-მესხიევნი): დავით, რექტორი თელავის სემინარიისა, იოველ, ქვათახევის მონასტრის არხიმანდრიტი ტარასი, სარდიონ, მთარგმნელი სხვა და სხვა მოთხრობისა, მათშორის „მიმომავალის ურიისა“ ევგენ-სუსი და მოყვარე ქართულის მწერლობისა, და ამ ჟამად ნიკოლოზ იაკინთეს ძე. ამ გვარში არიან გადამწერელნი, მწერალნი, შემნახველნი, დამცველნი, გამავრცელებელნი და სხვა მწიგნობრობისათვის ძვირფასის ღირსების მქონებელნი კაცნი. ეს ოჯახი ორას წელიწადზე მეტია მწიგნობრობის მოყვარეთ ითვლება. ამისთანა თვისებისანი საქართველოში სხვანიც ზოგიერთნი გვარეულობანიც იყვნენ და ამათის შრომით დაცულ იქმნა ქართული მწერლობა.

მწიგნობარ-გადამწერელთა შრომა და ღვაწლი ჩვენთვის ბევრად გასაგები არ არის: მე და შენ, მკითხველო, შეგვიძლია მუსაიფით წიგნის მაღაზიაში შევიდეთ, ასიოდე წიგნი ხელ და ხელ ვიყიდოთ, მივიტანოთ შინ, წავიკითხოთ და შემდეგ თუ მალე დაგვეკარგება, თავს არ გავიცემთ: ქვეყანაზე ხომ იმისთანა წიგნი არ გაწყვეტილა, მეორეთაც ვიყიდით, ან ვისმე გამოვართმევთ. შეგვიძლია განა წიგნის დაზოგვა! ვყიდულობთ, როგორც სახლისათვის შანდანს ანუ ფეხსაცმელსა. აბა როგორ დავაფასებთ წიგნის მოპოებას. ძველ დროში, როდესაც სტამბა არ იყო, წიგნის შოვნას და მოპოებას დიდი თავის სეთქა უნდოდა. კარგია თუ შეძლებული კაცი იყო, რომ რამდენიმე ძროხა მიეცა წიგნის გადაწერაში; თუ არა და, ხომ თითონ უნდა გადაეწერა. უმეტესი ნაწილი მწიგნობრებისა ხშირად უფრო შეუძლებელი კაცია და ამიტომ თითონ უნდა გადასწეროს. შენ მკითხველო, ბევრჯელ მგონია თითო მოკითხვის წიგნის დაწერაც გეზარებოდეს, და აბა წარმოიდგინე მთელი ვეება წიგნების გადაწერა რა შრომა იყო? ამასთან წარმოიდგინეთ სიძვირე ქაღალდისა, რომელიც თავრიზიდამ ან სტამბოლიდამ მოდიოდა და თავრიზს მოტანილი ქაღალდიც ჩინეთიდამ მოტანილი იყო. იმ დროების გზის სიძნელეც არ დაივიწყოთ.—ამიტომ კიდეც პატივი იცოდნენ თავისის შრომისა: ძალიან ძვირად უღირდათ და ისეც უფთხილდებოდნენ ნაწერ წიგნებსა. ჩვენ ძველ ნაწერ წიგნებს ვფანტავთ, ვალპობთ და ან სრულიათა ვხევთ და სხვეგვათა ვხმარობთ იმიტომ, რომ კალა არ წაგვსვლია და ნიშადური. მუქთათ ჩაგვვარდნია ხელში და ასე გვგონია, იმისი მოპოება ისე ადვილი იყოს, როგორც დაბეჭდილის წიგნისა, ესე იგი როგორც დუქანში სავაჭრო ნივთებისა. ეს გაუფრთხილებლობა ბევრჯელ უსინდისობამდის მიაღწევს, ასე რომ ფუთობით მეწვრილმანებზედა ვყიდით, რომელიც ქონის სანთლისა, ლილისა და კვერის შესახვევათა ჰფურცლავს მამა-პაპის ნაჭირნახულევსა. რას მოიფიქრებდა იმის გადამწერი, რომელსაც ვინ იცის, რამდენი დღე და ღამე გაუსწორებია და თვალები გაუწყალებია, რას იფიქრებდა, რომ ერთხელ ეს ჩემი შრომა საძაღლ-ღორო უნდა გახდესო. გადამწერელს ბევრჯელ თითო თხზულების გათავების ბოლოში მოხსენებული აქვს ესა და ეს ამდენსა და ამდენს დღეში გადავწერე მე ამა და ამანაო,—თითქოს ძალათ დაეწეროს ეს სიტყვები, რომ ვისაც ჩაუვარდება ეს წიგნი, დაფიქრდეს, დააფასოს გადაწერის შრომა და გაუფრთხილდეს წიგნსა. მაგრამ ვინ ჩახედავს ამ ნაწერსა, ვის რათ უნდა, რაში გამოადგება, ფეხთ არ ჩააცმევს, ტანთ არ ჩააცმევს, მუცელს არ გაუძღობს; რა საჭიროა?

რა საჭიროა მამა-პაპის შრომის გაცნობა, რა საჭიროა ჩვენი დედ-მამის შრომის გაცნობა, და ან, მოდი ვთქვათ და გავათავოთ რაც აქედამ ადვილათ გამოსაყვანი ჰაზრია და რასაც ბევრნი კარგა ვასრულებთ, რა საჭიროა თვით დედ-მამა? დრო იყო შეგვინახეს, გაგვზარდეს, ამ ზრდაში თავისი სიამოვნება ნახეს ახლა შორს და მშვიდობით!

ასეა, ჩემო მკითხველო, ჩვენი დრო. ვის რათ უნდა ძველი დამყაყებული წიგნები, თუ არ მეწვრილმანესა?!

იტყვით, რავქნათ; განათლებული კაცი ძველ წიგნებში რას იპოვისო რომ შეინახოს ან მოაგროვოს, ან წაიკითხოსო? კიდეც ეგ არის. ჩვენში განათლება რომ ყოფილიყო ამ ძველ წიგნებს ძალიან გაუფრთხილდებოდნენ, გაარჩევდნენ და სამუდამოთ დაარჩენდნენ; მაგრამ განათლება რომ არ არის! განათლებას გარდაც სხვა მიზეზიც არის რომ ჩვენი ყოველივე მოგვიძულებია, აგვითვალწუნებია და სხვისაც არა გაგვეგება რა: არც ამ მთისანი ვართ, არც იმ მთისანი. ვართ ორ წყალ შუ დარჩენილნი და, უკეთესათ ვთქვათ, გაწყალებულნი. მხოლოდ ერთათ ერთი სიყვარულის მეტი ქვეყანათზედ არაფრის სიყვარული აღარა გვაქვს: ფულის სიყვარული! ჩვენთვის გასაგები აღარა არის რა, ფულის მეტი, და ამ ძველ წიგნებსაც სანამ მეწვრილმანე არ მოვა და არ ასწონს, ჩვენს თვალში არაფერი ფასი არა აქვს.

სამწუხაროა ამისთანა დაუდევრობა საზოგადოებისა. ამაზე უფრო სამწუხარო ის ზნეობითი დაცემა და საკუთარის სამშობლო მწერლობის უკუგდებაა, როდესაც შევადარებით ჩვენს ძველ მწიგნობრებს: ისინი უფრთხილდებიან და ძველ მამა-პაპის საუნჯესა ჰკრეფენ დიდის შრომ.თა და სასყიდლის დადებითა, ჩვენ ცხვირს მაღლა ვიჭერთ და თითქოს ამას არა ვკადრულობთ, ამ მუშაობას ბუზის რეკადა ვთვლით და ჩვენს ნაილაჯის განათლებაში უმეცრებას არ ვხედავთ; არ გვესმის, რომ ყოველმა ხალხმა წარსული დროს შრომა თუ არ იცის და ამ შრომის პატივი თუ არა აქვს, უხეირო, უსაფუძლო, ქარაფშუტა რამ უნდა გამოვიდეს. სხვა ქვეყნებში, ნამდვილ განათლებულ ქვეყნებში ასეა, რომ ჯერ თუ წარსული არ იცის კაცმა ეხლანდელის ცოდნა შეუძლებელ საქმეთ მიაჩნიათ. ჩვენი ეხლანდელი განათლებული ყმაწვილ კაცობის გულ აცრუებულობა და ცუნცრუკობა, სწავლა-მეცნიერებაში თუ საზოგადო საქმეებში, რისგან არის, თუ არ ამ მიზეზისაგან? თუ რო მკვიდრი საფუძველი არ ექნებათ თავისის ქვეყნის შესწავლისა, რას უნდა დაამყარონ ანუ თავისი აზრი, ანუ მოქმედება და მოქმედების სიმართულება? ეს აზრი როგორც ჰსჩანს ჩვენს მამა-პაპას ძალიან კარგათ სცოდნია და ამიტომ ძველ მწერლობასაც შესასწავლებლად დიდი ადგილი ეჭირა. ყველამ ვიცით, რომ ძველს დროში აღზრდის დროს ძველის მწერლობის შესწავლა (არა თუ უბრალო კითხვა) გავრცელებული იყო და ახლაც ცოტად შინაურობაში დარჩენილა. ამის დამხმარებელნი იყვნენ მწიგნობარ-გადამწერელნი, ამიტომ კიდეც პატივსა სცემდნენ საზოგადოებაში. ამ მწიგნობარ გადამწერელთა ჰქონდათ ბიბლიოთეკები, ათი და ოცი წლიწადი ზრდიდნენ და აქედამ ავრცელებდნენ წიგნებს გადაწერითა, აქედამ იფინებოდა სწავლა და მწიგნობრობა ჩვენ ძველს საზოგადოებაში.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრსა, რომ ყმაწვილს მიაჩვიონ გაუგებარი წიგნები და საზოგადოდ, რაც წრფელს აღზრდას ეწინააღმდეგება. ღმერთმა დაგვიფაროს ამ პედაგოგიურის მახინჯობისაგან. ამას ჩვენ საზოგადოებაზე ვამბობთ, რომელიც ძველის მწერლობის შესწავლას ყურადღებას არ აქცევს. სანამ საზოგადოებაში ძველის თუ ახალის მწერლობის სიყვარული მტკიცეთ არ იქნება, მანამდის ძველი ხელთ ნაწერები ფრიად მრავალი გაფუჭდება და დაიკარგება. სანამ ჩვენს ახალ მწერლობაში და საზოგადოებაში ძველი მწერლობის პატივის ცემა არ იქნება, მანამდის საერთოთ ჩვენს საზოგადოებაში არ იქნება გულდამყარებული, მკვიდრი სიყვარული არც სწავლისა, არც განათლებისა და არც სამშობლო ქვეყნისა.

რაც უნდა თქვან მოდის კაცებმა, უარს ვერ იტყვიან, რომ მწიგნობარ-გადამწერალთა შრომა უბრალო შრომა ყოფილიყოს. რაც უბრალო არა ყოფილა, მაშასადამე, შესწავლის და დაცვის ღირსია, რადგანაც ღონისძიებას გვაძლევს ვიცოდეთ ჩვენის წარსულის მწერლობის ავიდა კარგი, ჩვენის გონების სიმდიდრე და გარჯიშობა, ვიცოდეთ წარსული ცხოვრების ვითარება და გარემოება. ძველის მწერლობის უცოდნელათ ხომ ვერ შევიტყობთ, ვერ გავიგებთ და ვერ შევიყვარებთ რაც საცოდნელია და შესაყვარებელია ან მოსაძულებელი, ერთის სიტყვით, რაც მკვიდრის საფუძვლიანის განათლებისათვის საჭიროა.

თუ ამ აზრს დაემყარა მკითხველი, დამეთანხმება, რომ ფრიად პატივსაცემი შრომა ყოფილა ძველის წიგ-

ნების შენახვისა და გადაწერის შრომა და ჩვენის მხრით უნდა დავიცვათ იმათი ნაშრომი. ძველათ ჩვენში საშვილიშვილოთ გვარეულობაში გადადიოდა ხოლმე ხელნაწერი წიგნები და მემკვიდრეობაში დიდათ უფრთხილდებოდნენ. დღეს ეს სიფრთხილე ზოგ გვარში სხვა რიგათ შეიცვალა, ისე რომ წიგნებს თუმცა ინახვენ, არავის კი არ აჩვენებენ; მეწვრილმანეებზე არა ჰყიდიან, მაგრამ ალპობენ და თაგვებს აჭმევენ. ამისთანა შენახვა რა შენახვაა?

ეს ყოველი ნათქვამი დიდ განსხვავებას გვაჩვენებს, ძველი და ახალი საზოგადოება მწიგნობრობისა როგორი მოყვარე ყოფილა.

სხვა ქვეყნებში ვისაც კი ხელთნაწერი წიგნები აქვს, დიდ საუნჯეთ მიაჩნია, ყველას სიები აქვს თავისის წიგნებისა და ზოგს დაბეჭდილიცა აქვს. ეს ჩვეულება სასურველი რამ არის ჩვენთვისაც. ამ სიებში მოხსენებულნი არიან გადამწერელნიცა, რომლის მოხსენებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ზოგი გადამწერელი მწიგნობარიც ყოფილა ანუ მთხზველი, და ამ რიგათ შეიძლება ერთის კაცის გადაწერის ხასიათი მეორეს არა ჰგავდეს, ჰქონდეს ნაკლულევანება ანუ ღირსება. ეს ღირსება და ნაკლულევანება რომლისამე წიგნის პირველად ბეჭდვის დროს დიდად საჭიროა, რადგანაც რამდენიმე ერთგვარი ხელნაწერი უნდა შეიანსმდეს. აი ამიტომ კიდეც სხვა ქვეყნებში ძველის წიგნების ზოგ გადამწერელის სახელი დიდი საჭირო რამ არის მბეჭდველისათვის და თვით წიგნის სინამდვილისათვის.

ამის გამოთ ჩვენთვისაც მეტი არ იქნება ზოგიერთი გადამწერელის ნაწერების სახელები ვიცოდეთ და თვით გადამწერელის ვინაობაცა. სასურველია, რომ თითო გადამწერელის ნაწერები ერთად შეგროვდეს, კატალოგები (სიები) გაუკეთდეს და ჩვენს გაზეთ-ჟურნალებში იბეჭდებოდეს. ამასთანავე სასარგებლო იქნება რომ მწიგნობარ-გადამწერის ცხოვრების ამბავი შეგროვდეს და იბეჭდებოდეს. ამ ამბების შეკრება ზოგჯერ ძნელი არ არის, რადგანაც ყოველ გვარეულობაში, სადაც ძველი წიგნები აქვთ, ხშირად იციან ვისი დაწერილია ან რა შემთხვევაში გადაწერილა და ვისთვისა. ესენი სასარგებლო იქნება, როგორც საზოგადოთ ლიტერატურის ისტორიისათვის, აგრეთვე სხვა და სხვა ისტორიულის ფაქტების ასახსნელათ, მეტადრე როდესაც ბლომათ აღმოჩნდება ამისთანა ამბები. მაგალითად ამ ახლო ხანებში ერთ სახლში აღმოჩნდა „ვეფხვის-ტყაოსანი“ გადაწერილი პეტრე ლარაძისაგან (ახლა დიმიტრი ბაქრაძესა აქვს). ეს „ვეფხვის-ტყაოსანი“ ადგილ-ადგილ ძალიან შეცვლილია; მაგალითად ეს ტაეპი:

„მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდილმდე გასატანისა.“

პეტრე ლარაძის გადაწერილში არის:

„მომეც კეთილთა სურვილი“ და სხვა.

მერმე კიდევ სიტყვა „მეფე“ არის ხმარებული მდედრობითი სქესის მნიშვნელობით „მეფა“.—პეტრე ლარაძე ამბობს, რომ ეს გადმოუწერია გიორგი თუმანიშვილის ძველის ხელნაწერისაგან, რომელიც არდანუჯში მოეპოვებინა იმასაო. რამდენათ არის ეს ლარაძეს სიტყვა მართალი არ ვიცით. (ამბობენ ქალაქში თუმანიშვილის, ბირთველის, ოჯახში არისო ეს არდანუჯის ხელნაწერი, მაგრამ ჯერ შეთანხმებული არ არის). აქ შეიძლება იჭვი ვიქონიოთ გადამწერზე, ასე რომ პეტრე ლარაძე თუმცა მწიგნობარი კაცი იყო, მაგრამ ძველის აღდგენა გადამეტებითა სცოდნია. მაგალითად ამ სტრიქონების დამწერს უნახავს ალექსანდრე ვახტანგის ძის ორბელიანის ხელში „დილარიანი“, ახლად შეთხზული პეტრე ლარაძისაგან. ეს „დილარიანი“ ძველი არ არის, ყოველ გვარის ზომის ლექსებით სავსეა. ძველი ხელ ნაწერი „დილარიანი“ სხვა არის. ამ გვარათ ორი თხზულება გამოსულა ერთის სახელითა იმ მიზეზით, რომ ლარაძეს იქნება არა ჰქონებია, ძველი დაკარგული ჰგონებია და ახალი შეუთხზავს. იქნება „ვეფხვის ტყაოსანიც“ ასე გაუკეთებინოს და ავტორიტეტობის გულისთვის არდანუჯი (აწ ოსმალეთში) დაუსახელებინოს, როგორც საქართველოს განათლების პირველი ბინა ადგილი. ამ გვარათ ცოტაოდე ხასიათის ცოდნა გადამწერლისა გვაფრთხილებს, სანდოა იმის გადანაწერი, თუ არა? მაშასადამე ძველის თხზულების ბეჭდვის დროს გადამწერლის ცოდნას ღირს შესანიშნი ადგილი უნდა ეჭიროს.

ძველ ქართულ მწიგნობარ-გადამწერელთა შორის გათქმულია დავით რექტორი ალექსი ძე (ალექსი შვილი—მესხიშვილი, ალექსიევ-მესხიევი). ბიძა ქვათახევის არხიმანდრიტის ტარასისა. დავით იყო მოწაფე და აღზრდილი ანტონ კათოლიკოზის პირველისა და გამოჩენილი ადგილი ეჭირა სხვათა მოწაფეთა შორის, რომელნიც იყვნენ: გაიოს ნაცვლიშვილი პირველი რექტორი და გამ-

მართველი თელავის სემინარიისა 1784 წელსა, გარდაცვალებული აშტარხანს ერქიეპისკოპოსად 1819 წ.; ვარლაამ ამილახვარი, პირველი ექსარხოსი საქართველოისა რუსობის დროს; მისაილ ტფილელი ეპისკოპოზი, იოანე ოსესშვილი მქადაგებელი და სხვანი.

დავით თელავის სემინარიაში რექტორად დადგა 1784 წელსა, ესე იგი დაფუძნების პირველსავე წელს, როდესაც გაიოზ რუსეთს წავიდა. რუსების შემოსვლის პირველ წლებამდე თითქმის ის იყო განუწყვეტლად რექტორად. *) თავად აზნაურობის და სამღვდელოთა შვილები მრავალნი იზრდებოდნენ ამ სასწავლებელში, რომელიც პირველი წესიერად დაარსებული შკოლა იყო კახეთში. უეჭველად იმ მოწაფეეთა ოჯახებში ბევრი რამ თქმულობა უნდა დარჩენილიყოს. სასურველია მათი ცნობა იმ დროს სწავლაზე და თვით დავით რექტორის ხასიათზე ანუ შრომაზე.

ამ მოღვაწეობასთან დიდი შრომა იყო შეერთებული: სასწავლო წიგნები უნდა შეედგინათ და ეთარგმნათ ამისათვის, როგორც ტფილისის სემინარიისათვის, აგრეთვე ამ თელავის სემინარიისათვის აკეთებდა და სთარგმნიდა სასწავლო წიგნებს ანტონი კათოლიკოზი და აგრეთვე დავით რექტორი. ანტონ კათოლიკოზის ნაშრომ წიგნებს: კატეხიზმოს, მზამეტყველებას, ღრამმატიკას, რიტორებას, კატეღორიას, ფილოსოფიას ბაუმეისტერისას, ფიზიკას ვოლფიუსისას, მოკლე ისტორიას საქართველოისას და სხვას წიგნებს, ცხადია, რომ სასწავლო მნიშვნელობა ჰქონდა. დავით რექტორს, როგორც სასწავლებლის მმართველს რასაკვირველია ამაში შრომა ექნებოდა. მაგალითად, არის გეოგრაფია, ახლა სადღაც დაკარგული, იმისი შედგენილი. ამ სასწავლო წიგნებთან ხშირად გვხვდება სხვათაგან შედგენილი წიგნებიცა, მაგალითად არითმეტიკა, ალღებრა, მიწის მზომელობა (გეომეტრია), რომელნიც იმავე დროს ეკუთვნიან. ამ შრომაში, შედგენაში თუ პირველ გადაწერაში როგორც ვთქვით დიდი მონაწილეობა ჰქონია დავით რექტორსა.

ამ სწავლა-შრომის სიყვარულისა გამო მიღებული ყოფილა მეფის სახლობაში და, როგორც გაგვიგონია, გიორგი მეფის ძის დავით ბატონიშვილის მასწავლებელი ყოფილა. მოწაფესა და ოსტატს ერთმანერთის სიყვარული სიკვდილამდის არ გაჰქრობიათ. ქვემო დაბეჭდილის წიგნიდამ ნახავს მკითხველი, რომ თელავის სემინარიის რექტორობის შემდეგ დავითს ჯამაგირი ჰქონდა ბატონიშვილისაგან და როდესაც ბატონიშვილი გადაიცვალა, კარგა ხანს შემდეგ რექტორი სიყვარულის და პატივისცემის ნიშნად წიგნებს შავის ლაქით ჰბეჭდავდა.

დავით რექტორი გარდაიცვალა 1827—1830 წლებ შუა, ბევრს ახსოვთ მოხუცებულებსა, რომელთაც უნახავთ ქალაქში მცხოვრებელი და ახსოვთ იმისი უცნაური ყოფა ცხოვრება. თელავიდამ გადმოსვლის შემდეგ სცხოვრებდა ანჩისხატის მღვდლის სამრეკლოს გვერდით, მარცხნივ ოთახში (ეს ამ ორის წლის წინათ დაანგრიეს და სხვა დაბალი აუშენეს.) ერის კაცი იყო, ცოლშვილი თელავში მოუკვდა და ქალაქში ღარიბათ სცხოვრებდა; უცნაურის ხასიათისა ყოფილა და უშნო ჩაცმა-დახურვისა. ჩვეულებათ ჰქონდა მხრების თამაშობა (ცმუკვა იცოდა) და ამის გამო „ცუკასა“ ეძახდნენ, როგორც ამ გვარის ჩვეულების კაცისა მეტის სახელის დარქმევა იციან ხოლმე ჩვენ სოფლებში. ხშირად შინ იჯდა და მეტადრე ბანზე, სალათსავით აბა წამოსხმული და პერანგის უამხანაგოთ. ჭკვიან და მცოდნე კაცათ მიაჩნდათ, მაგრამ ამასთანავე ნახევრად სულელათაც. ამიტომ „ცუკის ფილოსოფოსს“ ეძახდნენ. ოხუნჯობა იცოდა დიდებთან და პატარეებთანაც. მაგრამ სასწავლებელში ცემა კი სცოდნია და ლობიოს მარცვლებზე დაჩოქება უმაწვილებისა. ბევრს ახსოვს იმის ოხუნჯობა დღესაც. მაგალითად: ერთხელ თეიმურაზ მუხრან ბატონმა ამილახვარმა და სხვა გამოჩენილმა ერეკლე მეფის დროს კაცებმა სადილს შემდეგ ბაასი დაიწყეს: ქვეყანა რაზე დგასო? ვერა დაასკვნეს რა და კაცი გაგზავნეს, ცუკიასა ჰკითხეო. კაცი მივიდა და დავით რექტორმა შეუთვალა: თქვენ გაძღარხართ კაის სადილითა და ეხლა შეექცევით; მე კი არა მკითხავთ, დღეს მუცელი მეწვისო. სადილი გამოუგზავნეს. კაცი იქვე დააყენა რექტორმა, სანამ კარგა შეექცა; რომ გაძღა და გაათავა, ბიჭს უთხრა: ასე მოახსენე ბატონებსა ქვეყანა ამ ჩემ..... წვერზე დგასო. სხვა ანეკდოტია იმის ბინძურობაზე: პურის ჭამის შემდეგ ძვლებს იქვე კარის ღრუბლთან დაჰყრიდაო. დავით

*) იმავე სემინარიის რექტორად, ამბობენ, ყოფილაო, წარსულ საუკუნეში სომეხი მღვდელი ყაითმაზაშვილი, მაგრამ არ ვიცით ნამდვილად რომელ დროს ყოფილა და რექტორად ყოფილა თუ თანაშემწედ. ეს ამბავი შესანიშნავია მით რომ სომეხს მღვდელს მართლ-მადიდებლის სასულიერო სასწავლებელში თანამდებობა ჰქონია.

ბატონიშვილს უნდოდა დაემძლევინებინა და ვერ დაამძლევინა. ერთხელ დიდმარხვაში თავის მსახურს უბრძანა მელები შეეგროვებინა და კარის წინ დაეყარა. გამვლელ-გამომვლელი ჰკვირობდნენ და ლანძღავდნენ მარხვა ჭამია ცუკიას. შეიტყო გამოვიდა დავით რექტორი და გაუჯავრდა. ამ დროს ბატონიშვილი გამოჩნდა. რექტორმა ლანძღვა დაუწყო, ეს შენი ეშმაკობა არისო, ამოდენა ხალხში გამაბიაბრუეო.

გადაწერილი წიგნები დავით რექტორისა მრავალია. როგორც გაგვიგონია ბევრი ამ ხელ-ნაწერებისა ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრის ჰქონია და მერე გრიგოლ დადიანს წაუღია; ამას გარდა ყოფილა კიდევ სხვა მესხიევის ოჯახში, საიდგანაც ამ რამდენიმე წლის წინათ გაფანტულ-გამოფანტულა თუ სახლებში და თუ ქაღალდის მეიდავ მეწვრილმანეებში. ამბობენ ეს უკანასკნელი ბიბლიოთეკა ქართულის წიგნების გაყიდვის დროს ცხრა ფუთი გამოვიდაო. დანარჩენი წიგნები აქა-იქ გაფანტულია. უმეტესი ნაწილი წარსულ საუკუნეში გადაწერილია, უფრო ნაკლებად ამ საუკუნეში. საცოდნელად საჭიროა ვიცოდეთ, რომ უმეტეს ნაწილს დასასრულში უწერია. რომ დავით რექტორის გადაწერილია და წელიწადიც აღნიშნულია. ყოველი წიგნი წვრილის გარკვეულის ხელით არის დაწერილი და სუფთათ, ასე რომ ბევრჯელ მთელ წიგნში ერთს სიტყვას ხაზგასმულს არ შეხვდებით. წიგნებს აქვს საწერ ქაღალდის მეოთხედის და მერვედის სიდიდე ტანი. სასურველია შეკრეფილ იქმნას ცნობა, ვის რა წიგნები აქვს იმისი გადაწერილი და სია დაიბეჭდოს ჩვენს გაზეთებში.

---

ამის ქვემორე წერილები ეკუთვნის ბეგამში (ქართლს) მცხოვრებელს ციცქაშვილს, რომელსაც მადლობას უძღვნით ამის გადმოცემისათვის. ამავე ციცქაშვილს აქვს შესანიშვი გრამმატიკა თარგმნილი და გადმოცემული სომხურიდამ მეფე ვახტანგის ბრძანებითა შანშიანისაგან 1737 წელს და ამა თხზულებასთანავე გადმოთარგმნული ბერიამენია და „შეყვანილება პორფირიუსისა“ იმავე შანშიანისა და ბატონიშვილის ვახუშტისაგან.

პ. უ.

---

## წერილები

### დავით რექტორისა

**მისს ღირსებას პატიოსანს მღვდელს იოანეს:**

ხელს ამბორს გიძღვნი. და შენს მშვიდობას. გვალად ვკითხავ: სადა ხარ. როგორა ხარ. ან ცოლით. და თუ შვილი გყავს [1]) ან შვილით ან ძმებით, როგორ ჰსცხოვრებ. ამ განსაცდელიანს დროებში: [2]) მე ხომ გემართლები ჭეშმარიტად რომ შენი სახელი არას დროს. არც კარგად, და არც ავად. ვახსენო. არამც [3]) წიგნი მოგწერო. ამიტომ რომ რა შენ თელავიდამ წამოსვედ. და გამეყარე შენს შემდგომად. რამდენი განსაცდელი. და მწუხარებაები შემემთხვა. ყოველივე რომ მოგწეროდია გრძლად. მოვა. და მცირეს მოკლედ გაცნობებ: შენობისას ხომ. სიმართლის მოქმედო რუსთ სკოლა წამართვეს: და რომელიც შენობისას ხელასშვილის სახლები გავაკეთე. შენს უკან კიდევ უკეთესად გავაკეთე. ისიც წამართვეს. იმავ ძაღლმა სუდიამ სამგზის წყეულმა. იქიდამ გამომაგდეს: მორდლის შვილი ნინია გაქცეული იყო: სახლები ცარიელი იყო. იმათისავე დასტურით. მილდას ნანას წიგნი მავსწერე. და იმათს სახლებში დავსდეგ. ერთს წლამდის ვიდეგ: ერთი ქრისტესაგან სამგზის წყეული და შეჩვენებული. ლეკარი ასტყდა. თუ რამ მებადა. ან პური ან სტოლები. ას ორმოცი ფიცარი ტომრები. რაღა გითხრა ყოველივე სახლის მოსახმარი. სკამები კრაოტები ყოველივე იმან წამართვა. სვიმართალი ვერ ვიშოვე. ჭირი გაჩნდა. მოსე მღვდელი. მთელად ვასილ მღვდლით ამოსწყდა. მე კისის ხევს სემონ მღივანისას ბარგით. მარიამა კაციანი ჩავედ. დამაწყებინა. ციებ ცხელება. ერთხელ ექვსი თვე მაცივა. ერთხელ. რვა. თვე. ერთს წელიწადს მეტს ვიყავ. კისის ხევს. მერე თელავს ამოვედ. მაციებდა მეცა, საწყალს მარიამსა, და კაციასაც. სამთავ. ერთად. დავით ყორჩიბაშის შვილის კოშკში: რაღა გითხრა ყოველივე. სიმწარედ გარდამექცა. ავი მეწყნარება. ჰსცოდნიათ დიდად შემაწუხეს სახლის წაილაჯი ვიყავ: საწყალი კაცია მომიკვდა ციებ ცხელებით. ღვინობისთვის: დ: მასუკან მარიამ მომიკვდა. ჩემის ცოდვით და უბედურებით: იანვარს: ზ: დავრჩი. მარტო: ორნივ. ციებ. ცხელებით. დამეხოცნენ. ჯავრმა. გამაყვითლა: და მეც ვჰკვდებოდი. ვიყავ. ყორჩიბაშიანთ გალავანში მარტო წელიწადი მეტი. ცოტა. მოვჯობინდი: შარშან აქ ქალაქს ჩამოვედ. ანჩისხატში ვჰსდგევარ კარის ბჭის ოთახში. მარტო. ერთი

---

1) აქ აქსანტრაფი უზის და ამის მერმე სიტყვას „შვილით“ შემდეგაც. პ. უ.

2) აქ გამორებულია ვგონებთ ნიშნად ეხლა ხმარებულის წერტილის. პ. უ.

3) ამ სამის სიტყვების: არც, არც და არამც ზოგჯერ ახლოებზე არის აქსანტები. პ. უ.

ქალღი იმერელი მყვანდა იმანაც გამქურდა. და თუ ჩემი ამბავი. იკითხო. მარაამისა და კაცის სიკვდილის მწუხარებით. სულის დგმა აღარა მაქვს. არ მეგონა თუ ასე ვიგლოვდი და ასე შევსწუხდებოდი. სულ იმათის მწუხარების ფიქრში ვალამებ: ამდენი, ხანია მეთვრამეტე თვე აქ ქალაქს ჩამოველ. მიკვირს სირცხვილად როგორ არ მიგახნია. ერთხელ. როგორ არ ჩამოხველ და არ მნახე შენის ნახვით ხომ იცოდი მესიამოვნებოდა. და მწუხარეს გულს მომილხენდა მიკვირს შენის სვინიდისისაგან. იმათის დახოცისა ივის ასე მწუხარე ვარ და ნუგეში არა მეც. შენი ნახვა ხომ იცი დიდად მიამებოდა. ღმერთმანი გთხოვ და მინდა რამე შე. საბრალოვ. ჭეშმარიტად რასაც შენს კარგს გავიგონებ. ღმერთს სულ. იმასა. ვსთხოვ. ახლა ამასა გწერ ვინძლი, რომ ესე ჰქნა სხვა კარგი სიმაგრე იყოს და მტერი არა ხვდებოდეს იქ წახვიდე შენცა და ცოლიც. თან წაიყვანო. ან. დატყვევებით ან სიკვდილით არა აიტეხო რა. რომ.შენის განსაცდელით გამოუთქმელს, მწუხარების ჯოჯოხეთში. არ ჩამიყვანო. და ეცადო ამ მტრიანობის ჟამეში შენი თავი. განსაცდელს მოარჩინო. ღმერთმა ხომ იცის შენი ფიქრები. მაწუხებს. და მტანჯავს. მე რაღა შეწუხება მინდა. შენ მაინც. იცოცხლე. რომ მანამ ცოცხალი ვიყო. შენი ავი არა გავიგონო რა: ვაყო. ან. ერთხელ. ერთი წიგნი როგორ არ მომწერე ხომ იცი დიდად მაამებოდა. რაღა. გითხრა დიდად გეხვეწები. რომ სადა იყოს შენი თავი დახიზნო. და მშვიდობით ამყოფო: ახლა ნუ წამოხვალ ჩემს სანახავად: გზაზედ. დიდი შიშიანობა არის. მცხეთიდამ. ქალაქამდის სამს ოთხს ალაგს. არც დაგიმადლებ. არა აიტეხო რა. და როდესაც. ზამთრის პირი დადგეს და უშიშოება შეიქნას, თუ მანამდის ვიცოცხლე. მაშინ მნახე. ესეც არ ვიცი ეს წიგნი მოგივა თუ არა: მარიამობის. ტ: ქვს. უჟ:*)

მაღალ-კეთილ-შობილი ალექსისძე.
რეკტორი დავით:

(გვერდზე პირველ პირზე მიწერილია.)

ქ. შენი მეუღლე სახელი კი არ ვიცი ვითა შვილი ეგრეთ მომიკითხე: შენი ძმანი და ძმის წულნი ყოველნივე მომიკითხე:

## II.

მისს ღირსებას პატიოსანს მღვდელ იოანეს.

წმიდას მარჯვენეს. ამბორს გიყოფ. ვითა მღვდელსა ჭეშმარიტსა ქრისტესსა. და შენს მშვიდობას შენით. და შენის მეუღლით: მეებით და ასულით ღმერთსა. ვჰსთხოვ. ჩემს ამბავს მოიხსენებ. მართალია. სული კი მიდგას. მაგრამ. სხვა კეთილი არა მაყრია რა. ყოველთვის სნეულადა ვარ და ავად მეოფობაში. გასლავარ. მერე მიკვირს შენის მღვდელობისა და სვინიდისისაგან. ერთხელ როგორ არ მიკითხე. ან ერთხელ წიგნი არ მომწერე. და შენი მშვიდობა და ამბავი არ შემატყობინე. ღმერთი არის მოწამე მე კი ყოველთვის შენს ზრუნვასა. და მწუხარებაში ვარ. და შენს გონებაში. და ყოველთავე ვეხვეწები: რომ თვალყური მოგვიგდონ. წინაზედაც ნიკიფორემ. და მამაცასშვილმა ზაქარიამ პირობა დამიდვეს. შენის გულისათვის. რაც შეგვიძლიან შევიყვარებთ. და თვალ-ყურს მიუგდებთო. შენ თითონ მოწამე ხარ. რომ ჩემს ცხოვრებაში. ჩემს გულში ეგ არ გავლილა რომ შენი გამორჩომა მდომოდეს. ახლა ასე მოსდა ჩემი საქმე, რომ გავღარიბდი: მოვხუცდი. და დავსნეულდი: ჯამაგირი მე აღარა მაქვს: და თუ მქონდა რამე. რა რუსები მოსულან, იქიდამ. აქამომდე. დავხარჯე. აღარა მაქვს რა. ახლა თუ. შეიძლებოდეს ჭეშმარიტად შენი შეწუხება არ მინდა. ერთი ურემი ფქვილი. გამომიგზავნე. თუ ერთი ურემი. ვერ შეიძლო. ათი კოდი ფქვილი მაინც გამომიგზავნე. დიდად საქმე გაჭირებული ვარ. მე ტომრები აღარა მაქვს. სადა იყოს. მანდ შენ იშოვნე. თუ შენ ვერ წამოხვალ. რომ სოფელი და სამწყსო გიჭირავს და დიდ მარხვა არის. ასე ჰქენ. შენი ძმა დავით გამოგზავნე: ერთი ურემი ფქვილი გამოატანე. ათი კოდი შენთვის გაყიდოს. და ათი კოდი. მე მომიტანოს. აქვს აბაზად კოდია: ქვეყანამ იცის მოხისი ქართლში პურის მადანია: თუ გქონდეს. მუხუდო და თაფლიც. გამომიგზავნე. და ღომიც: დაირწმუნე მაგიერს მეც გარდავიხდი. ხომ. მოვჰკვდები და ჩემს ანდერძში. არც შენ დარჩები უნაწილო: თუ არც ერთს იქმოდე. წიგნი მომწერე. რომ იმედი გარდავსწყვიტო და შენი მშვიდობაცა. ვჰსცნა. აბა რაგა მოგწერო. სულ ავადა ვარ. ჩემის სნეულებით. ვერ მამერეოდნენ: ჯამაგირი არა მაქვს და შემოსავალი. აბა საიდამღა მექნება დარჩომის გზა. და ილაჯი. ბატონისშვილი. დავით ის იყო. რომ ისიც. მაისს. ია. მიიცვალა: საბრალობელი. ქეთევანც. თერთმეტი თვე არის მიიცვალა. და საწყალი მისი შვილი ხომ უწინ ხევსურებმა მოკლეს. ეს მეექვსე წელიწადია შენი საწყალი. მეგობარი ნინია: რაღა მოგახსენო. ჩემი მწუხარება.

ფებერვალს. კა: შენი მოკირნახული. და შენი გამზრდელი და მასწავლელი. ალექსის ძე
წელსა. ჩუგ: ალექსოვი,
ქვს. ზწ.
ტფილისს:

დავით რეკტორი.

(ნაპირებში მიწერილებია).

მანოელმა დათიკომ და სვიმონმა ხელს გაკოცეს:

ქ. შენი მეუღლე ჩემის შვილის მსგავსად ჩემგან საგულვებელი. მამა მებრის. სიყვარულით მომიკითხე. აგრეთვე შენი შვილები. ვაჟები. და ქალები:

---

*) ესე იგი 1807 (ჩუზ) წელსა. მარიამ და ვაჩნა, ვგონებთ ცოლის და შვილის სახელებია

ქ. აგრეთვე შენი ძმა დავით: და შენნი ძმანნი მომიკითხე:

ქ. შავის ლაქით დაბეჭდვა. სხვა არა გეგონოს რა დავით ბატონის შვილი მიიცვალა. მას აქეთ. ჩემს წიგნს ყოველთვის შავის ლაქით ვბეჭდავ.

(ამ მეორე წერილს ზემოდამ ადრესი აქვს)

მისს ღირსებას პატიოსანს მღვდელს იოანეს: ციციშვილს. გიორგისძეს. დავით რეკტორის გაზდილს

მიერთოს

ტფილისიდამ. ქართლს. სოფელსა მოხისს:

---

## ბრძოლა რომის დასაპყრობლად

### კონსტანტინოპოლში.

(დასასრული *).

რამოდენიმე თვე გავიდა. ერთხელ რომაელთა ჯარის ბანაკში სარდალს ცეტეგს მოუვიდა წერილი ამ წარწერილობითა: „კორნელი ცეტეგს ცეზარსა, ყოფილს პრეფექტს და ყოფილს მეგობარს. უკანასკნელად ჰსწერს პროკოპი ცეზართაგანი."

„ეს წერილი—ჰსწერდა პროკოპი,—იმისთანა სამწუხაროა, რომ ამ გვარი წერილი ჩემს დღეში არ დაუწერია ჩემს ყოფილს მარჯვენა ხელს და ეხლა დაშთომილს მარცხენასა. სიამოვნებით მოვიჭრიდი ამმარცხენა ხელსაც, ოღონდ არ მომცემოდა მიზეზი ამის მოწერისა: ეს წერილია ოცდაათის წლის მეგობრობის უარ-ყოფისა!.. მაგ მეგობრობას, რომელიც შენ დაასრულე მით რომ გადუდეგ და გველსავით დაშხამე ჩემი ვარსკვლავი—ბელიზარი, მე ვასრულებ უკანასკნელის სიყვარულით შენდამი: მე მინდა გაგაფთხილო შენ და გაუწყო განსაცდელი, რომელიც შენ მოგელის. შენ უნდა შემძულებოდი მე, მაგრამ მაინც კიდევ მიყვარხარ, ცეტეგ! შენ ძნელად ამოგიღებს კაცი გულიდამ და მე ძალიან მინდა შენი დახსნა უბედურობისაგან. მაშ ყური მიგდე: მე რომ ბიზანტიაში დავბრუნდი, მე მეხსავით თავ-ზარი დამცა ამბავმა, რომ ბელიზარი დაუჭერიათ ვითომ იუსტინიანეს ღალატობისათვის. მე ჯერ ვიფიქრე, რომ შენცა და იმპერატორიცა უცდენი ხართ ვისმე. ბევრი ვეცადე, რომ მენახა იუსტინიანე, მაგრამ ამაოდ ჩამიარა ცდამ: იუსტინიანემ არ მინახულა. მას პირში დორბლი მოსდიოდა როცა მის წინაშე ახსენებდნენ სახელს ბელიზარის კეთილის-მყოფელისას. აგრეთვე ამაოდ ჩამიარა ანტონინას ნახვის სურვილმა: შენის წყალობით იმას კარგად ჰყარაულობენ წითელს სასახლეში. ტრიბუნიანს წარვუდგინე ყოველივე საბუთი, რომ ბელიზარი უბრალოა, თვითონ ტრიბონიანმა ჰსთქვა, მე ვერ დამიჯერებიაო, რომ ბელიზარი მუხანათი იყოსო და ამასთანაც გაკვირვების ნიშნად მხრები აიწია. „მაგრამაო, დაუმატა ტრიბუნიანმა: ბელიზარის საქმე ხელიდამ წასულია! რად უარჰყოფსო, რომ ანიცი მის სახლში დადიოდა,—ეგ ხომ ცხადად დამტკიცებულიაო." დიაღ, ბელიზარის საქმე ხელიდამ წასულია! სამართალმა მას სიკვდილით დასჯა დაუნიშნა და ანტონინას კი—ექსორია. იმპერატორმა დაურბილა სასჯელი, სიკვდილის მაგიერ გაუსამართლა თვალების დათხრა, ქონების აოხრება და ანტონისაგან შორს გადაკარგვა.

საშინელი ჩოჩქოლი მოახდინა ამ გვარმა სამართალმა ბიზანტიაში. არავის არა ჰსჯეროდა ბრალეულობა ბელიზარისა, არავისა, გარდა იმპერატორისა და მსაჯულებისა. ხოლო ვერავინ შეჰსძლო საბუთების თქმა მისდა სასარგებლოდ, ვერავინ ვერ დაატრიალა მისი ბედი. მე გადავსწყვიტე კიდეც რომ თან გაყოლოდი მე ცალხელი ბრმასა.

მაგრამ ამ დროს უეცრად გამოგვიჩნდა ღვთის კაცი,—ღმერთმა აკურთხოს—ამან დაგვიხსნა ორნივე. ეგ კაცი მისი დაუძინებელი მტერი ნარზესია, რომელიც მე ამას წინად დაგისახელე, როგორც ერთი უდიდესი კაცი ჩვენის დროებისა. ნარზესი ყოფილა ნიკანდიაში წყლებზედ და იქ შეეტყო ბელიზარის უბედურობა. მაშინვე გამოიქრა ბიზანტიაში, მიხმო მე და მითხრა: შენ ხომ იცი, რომ მე ყოველთვის იმის ფიქრში ვიყავ ბელიზარი დამემარცხა როგორმე გაშლილს მინდორზედა. მაგრამ მე ვერ შევიწყნარებ მას, რომ ეგრე უსახელოდ, ცილის წამებით დაიღუპოს ის, ვინც ძლიერი მტერი იყო ნარზესისა. ერთად ვიმოქმედოთ შენ—მისმა უკეთესმა მეგობარმა და მე—მისმა პირველმა მტერმა; გადავარჩინოთ იგი, გადავარჩინოთ ის რიხით-სავსე კაცი.

---

*) იხილე №№12, 21, 22, 23, 24, 28, 32, 35, 36 და 38.

ნარზესმა მოითხოვა ნახვა იუსტინიანესი და იგი, ვითარცა მტერი ბელიზარისა, მაშინვე მიღებულ იქმნა.

ნარზესმა უთხრა იმპერატორს: „ბელიზარი არ შეიძლება მუხანათი იყოს; მისი მხოლოობითი ბრალი—ბრმა ერთგულებაა შენდამი. იუსტინიანეს არ მიიღო ეს საბუთად. მაშინ ნარზესმა დადვა იმპერატორის ფერხთა წინაშე თვისი ყავარჯენი სარდლობისა და უთხრა: „ან უნდა გააუქმო განაჩენი მსაჯულთა, ან არა და ერთსა და იმავე დღეს უნდა დაჰკარგო ორივ შენი სარდალი. იმიტომ-რომ ბელიზარისთან ერთად ექსორიაში წავა ნარზესიცა. იფიქრე, მაშინ ვინღა დაიფარავს შენს საიმპერატორო ტახტს გოთთაგან, სპარსთაგან, და სარკინელთაგან.“

იუსტინიანემ ჭმუჭვნა დაიწყო და სამის დღის მანი ჰსთხოვა მოფიქრებისათვის; იმ დრომდე კი ქაა მოგვცა ნარზესსა და მე ქაღალდები გაგვესინჯა, ჩვენება ჩამოგვერთმია ანტონინასაგან და სხვათა შეწამებულთაგან. ქაღალდებიდამ გავიგეთ, რომ ყველაზედ ძლიერ საბუთად მოყვანილი იყო ანიცის ღამით მისვლა-მოსვლა ბელიზარის სახლში და ანიცი ხომ იცი მდივნად ჰყვანდათ შეთქმულთა. ისიც მოჰყვანდათ საბუთად, რომ ბელიზარი, ანტონინა და თვით ანიცი ძლიერ უარ-ჰყოფენ ანიცის მისვლა-მოსვლასაო.

როცა მე ესენი ვუამბე ანტონინას, მან შემომძახა:—თუ ეს მართალია, მაშ მარტო მეღა დავიღუპებიო, ბელიზარი კი თავს დაიხსნისო.

აქ თვალები განუბრწყინდა.

— ბელიზარიმ არ იცოდაო, ვანაგრძო ანტონინამ: ანიცი დადიოდა თუ არა; ანიცი დადიოდა ჩემთან და არა ბელიზარისთან. დაე ეს ყველამ შეიტყოს, თუნდა ბელიზარიმაც, დაე თუნდ ბელიზარიმ მომკლას კიდეც, ოღონდ თვით თავი გადირჩინოს.

ჰსთქვა ესა და მომაწოდა კიდეც ხელში ერთი ბოხჩა ანიცის წერილებისა, ამ წერილებმა ყველა საქმე გამოაშკარავეს და ამასთანავე დიდს ბრალს ჰსდებდნენ თვით თეოდორასაცა. მე მაშინვე ნარზესს მივუტანე. ნარზესმა წაიკითხა და მითხრა: „ძალიან კარგი, ეხლა ორში ერთი მოხდება: ან დავიღუპებით ჩვენ ყველანი ბელიზარისთან ერთად, ანუ ჩვენ გავიმარჯვებთ და დაიღუპება მარტო მშვენიერი თეოდორა. საქმე სიკვდილ-სიცოცხლეზეა მიმდგარი. წავიდეთ ანტონინასთან.“ ჩვენ მივედით ანტონინას სახლში და იქიდამ ჩვენ და ანტონინა, ყარაულებით გარს შემორტყმული, მივედით ციხეში, სადაც ანიცი იყო პყრობილი. წამოვიყვანეთ ანიციც და ოთხნივ ერთად მივედით იუსტინიანესთან. ანტონინამ—მაგ სულგრძელმა ცოდვილმა იმპერატორის წინაშე მუხლ-მოდრეკით აღიარა, რომ ღამით ინახულებდა ხოლმე ანიცის მარტო იმ განზრახვით, რომ იგი გამოეხსნა თეოდორას მახიდამ. ანტონინამ მიართვა იუსტინიანეს წერილები, რომელშიაც ანიცი მოუთხრობდა მას თუ რა ღონისძიებას ხმარობდა თეოდორა, რომ ანიცი ხელიდამ არ წასლოდა, წერილებში იყო გამოცხადებული ის საიდუმლო კარიცა, რომელიც თეოდორას საწოლს ოთახს ჰქონდა, იუსტინიანეს ლუსკუმაცა, რომელიც აფარებული ჰქონდა იმ კარს, და სხვა ამ გვარი.

ისტინიანე დიდის მრისხანებით გააფთრდა; ჩვენ დაგვემუქარა სამართალში მიქცემთო ჩემის მეუღლის შეურაცხყოფისათვის და ცილის წამებისათვისაო. ხოლო ნარზესმა უთხრა:

— ეგ მუქარა ხვალ აღასრულე! დღეს კი, როცა თეოდორა ძილს მიეცემა, ნება მიეც ანიცის მე და შენ შეგვიყვანოს თეოდორას საწოლში იმ საიდუმლო კარითა, წამოიღე თან ეგ წერილები და პირის-პირ დაუყენე ანტონინა და ანიცი. შანთ ქვეშ გამოჰკითხე იმ უკბილო კუდიანს გალატეას ყველაფერი—და გაფთხილდი კი, თორემ მე ვიცი შენ იქ შეიტყობ მასზედ მეტს, რის ცნობაც გინდა. თუ ჩვენ ამაში ვსტყუოდეთ, ხვალ როგორც გინდა ისე დაგვსაჯე.

იუსტინიანემ იყაბულა ეს სიტყვა. იმავ ღამეს ანიციმ შეგვიყვანა თეოდორას ბაღში. რაღაც ხაფანგი ეფარა მიწის ქვეშ გათხრილს გვირაბს, რომელიც თეოდორას საწოლ ოთახამდე მიდიოდა. იუსტინიანე ჯერ კიდევ იმედეულობდა, რომ ეს ყოველივე ტყუილია. მაგრამ როცა ანიციმ მარმარილოს ფიცარი იქით მისწია, შინიდამ წამოღებულის გასაღებით გააღო საიდუმლო კლიტე და გამოაჩინა ლუსკუმა—იუსტინიანეს ელდა ეცა და გულ შემოყრილი დაეცა. რამდენისამე წუთის შემდეგ გონზედ მოვიდა, მიაბრუნა ლუსკუმა და მარტო შევიდა თეოდორას საწოლში.

ოთახში ბნელოდა, მაგრამ მაინც იმოდენა სინათლე იყო პატარა კანდელისაგან, რომ ქვეშსაგები თეოდორასი ჩანდა. იუსტინიანე მიუახლოვდა ქვეშაგებს. თეოდორა იწვა სრულის სახელმწიფო სამკაულით მორთული. ერთი საშინელი ხმა მოგვესმა. ჩვენ მსწრაფლად შევცვივდით და ჩვენთან ერთად შემოვარდა მეორე კარიდამ გალატეაცა. ელდა ცემულმა იუსტინიანემ ხმა-ამოუღებლივ დაგვანახვა უძრავად მწოლარე დედოფალი. მივუახლოვდით ქვეშსაგებს—დედოფალი მომკვდარიყო თურმე. გალატეას გული შემოეყარა. ჩვენ გავსინჯეთ ოთახი; ოქროს სამ ფეხიან მაყალზედ ვიპოვეთ რაღაც ფერფლი. ვიხმეთ მოახლენი. გალატეამ გვიამბო, რომ იმ საღამოს, სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ იუსტინიანესთან ვიყავით, თეოდორა მარტო გამოსულიყო, გამოევლო ბაღი და მოსულიყო იმასთან, სადაც ჩვენა და იუსტინიანე ვიყავით. ამას უწინაც თურმე იქმოდა ხოლმე: ხოლო ამ ჟამად ისევ მალე მობრუნებულა უკან და თუმცა გულდამშვიდე-

ბული ყოფილა, მაგრამ სახეზედ ფერი აღარა ჰსდებია. ებრძანებინა რომ მაყალზედ ნახშირი გამიღუვეთო და მის მერმედ ჩაეკეტნა კარები. როცა გალატეას კარი დაეკაკუნებინა, თეოდორას ხმა მოეცა, რომ მე დავწექი კიდეცაო და შენ საჭირო არა ხარო.

იუსტინიანემ მოისმინა რა ყოველივე ესე. მივარდა ქვიროფას მკვდარსა და სანთლის სინათლეზედ უეცრად თვალი მოჰკრა ბეჭედს, რომელიც ერთხელ როდესღაც კლეოპატრასი ყოფილა, და რომელიც თეოდორას ყოველთვის ნეკზედ ჰქონდა. დააკვირვა ბეჭედს თვალი და დაინახა, რომ პატარა იაგუნდი ახდილია და მუნით ამოწოვილია საწამლავი, რომელიც ყოველთვის იმ იაგუნდის ქვეშ იყო შენახული. დედოფალს თავი მოეწამლა.

ჯერ კიდევ ეჭვში ვიყავით და არ ვიცოდით რისგამო მოეკლა თავი: იმისგან რომ თავისის სნეულების ტკივილებს ვეღარ გაუძლო, თუ იმის გამო, რომ წინად იგრძნო თავისის ძლიერების დამხობა. მაგრამ ამ საგანზედ მალე შევიტყეთ მართალი. თეოდორას სიკვდილის ამბავი მალე მოედო მთელს სასახლესა; ჩვენ კიდევ მის საწოლ-ოთახში ვიყავით, რომ მოვარდა კარის-მცველი იმპერატორისა. მან შიშით აღარ იცოდა რა ექმნა, დაეცა მუხლებზედ იუსტინიანეს წინაშე და უამბო, რომ რამდენიმე წელიწადია, რაც თეოდორასაგან მას ჯამაგირი ეძლევოდა მარტო მისთვის, რომ ეცნობებინა ხოლმე თეოდორასათვის ვის ინახულებს ხოლმე იმპერატორი ცალკედ. მაშინ თეოდორა ჩუმად მივიდოდა თურმე, შეიპარებოდა იუსტინიანის დარბაზის გვერდზედ მყოფს ოთახში და იქიდამ ხედავდა და ისმენდა ყოველსფერს, რაც მოხდებოდა და ითქმოდა. გუშინაც ეცნობებინა კარის მცველს, რომ ჩვენ იუსტინიანესთან მივედით. თეოდორა მაშინვე მორბენილა და რა წამსაც მისთა ყურთ სმენიათ ლაპარაკი ანტონინასი და ანიცისა, ვაიმეო დაუძახნია და დაცემულა. შემდეგ კი მალე წამომხტარა ფეხზედ და წასულა; კარის მცველისათვის უნიშნებია, არა ჰსთქვა რაო.

ნარზესი შეადგა იუსტინიანეს, რომ გალატეას შანთქვეშ გამოჰკითხოს, რაც იცის, მაგრამ იმპერატორმა პასუხად უთხრა: „ამაზედ მეტის ცოდნა აღარ მინდაო." ერთი დღე და ღამე მარტომ გაატარა თავისის მაინც კიდევ საყვარელის მეუღლის ოთახში კარ-ჩაკეტილმა, მერე დამარხა ხელ-მწიფურის დიდებითა სოფიის სობოროში. საჯაროდ კი გამოაცხადეს, რომ თეოდორა მოულოდნელად გარდაიცვალა ძილის დროს გაღუებულის ნახშირის სუნისაგან. სამ-ფეხიანი მაყალი გამოიტანეს და დადგეს საჯარო ადგილს ამის დასამტკიცებლად.

იმ ერთს ღამეს იუსტინიანე ისე შეიცვალა, რომ სრულიად დაბერებულს ჰგვანდა. ანტონინამ, ანიციმ, ბელიზარიმ, ფოგლიუსმა, ანტონინას მოახლეთა და სხვათა ერთნაირად აჩვენეს, რომ შენ და თეოდორამ, ანტონინა მოატყუეთ და საქმე ისე მოაწყეთ, რომ ბელიზარი თვალად მაინც გაგეხადნათ შეთქმულების მოთავეთა. ყოველმა ამან დაარწმუნა იუსტინიანე ბელიზარის სიმართლეზედ. მეც შევფიცე, რომ რამდენიმე კვირის წინად თვით ბელიზარი მრისხანებით ლაპარაკობდა ფოგლიუსის შეთქმულობაზედ.

იუსტინიანე წავიდა ბელიზარისთან საპყრობილეში—თვალში ცრემლით მოეხვია და ჰსთხოვა შემინდეო მეცა და ანტონინასაცაო; ანტონინამ გამოისყიდა კიდეცა სინანულითაო თავისი უბრყვილო ტრფიალების ცოდვანიო და ჩემის შეცოდების შენდობისათვის კიო გთხოვ მიიღო ჯარის წინამძღვანობა იტალიაშიო მაგრამ ბელიზარიმ უპასუხა: „არა, იუსტინიანევ, ჩემი საქმე სააქაოს გათავებულია; მე და ანტონინა წავალთ აქედამ შორს, ჩემს მამულში მესსოპოტამიაში და იქ დავმარხავ ჩემს თავსა და ჩემს წარსულსა. მე ახლა მოვრჩი ჩემის სნეულებისაგან—ესე იგი, მისგან რომ შენის სამსახურის სურვილი მქონდა. და თუ გინდა უკანასკნელი წყალობა მოიღო ჩემზედ, გაჰგზავნე იტალიაში ჩემი დიდებული მეგობარი და მხნელი ნარზესი; იგი ამოიყრის ჩემს ჯავრს გოთებზედ და იმ სატანაზედ, რომელსაც ცეტეგს ეძახიან."

ჰსთქვა ესა და ორნი დაუძინებელნი მტერნი გადაეხვივნენ ერთმანეთს ჩვენ თვალ წინ.

ყოველსავე ამას დიდ-საიდუმლოდ ინახვენ თეოდორას სახელის პატივისათვის. გამოაცხადეს კი რომ ბელიზარის სიმართლე გამოაჩინესო ნარზესმა, ტრიბონიანმა და პროკოპიმაო და დაამტკიცეს ახლად პოვნილის სიგელებითაო.

ყოველივე ეს მართალია. შენა გწერ იმისთვის, რომ იცოდე რა მოგელის და თავს უშველო. თუმცა მე არ ვიცი რა დააბარა ნარზესსა, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ იუსტინიანეს შენი დაღუპვა უნდა და ეგ მიანდო ნარზესს. შენ გინდოდა, რომ რომი თავისუფალი და ხელახლად აღორძინებული ყოფილიყო და მარტო შენ ყოფილიყავ მის გამგებლათ, მაგრამ ეგ შენი განზრახვა უგუნურება იყო. შენ მაგ განზრახვას უმსხვერპლე თვით ჩვენი მეგობრობაცა. ხოლო მე კი მივდევ თან ბელიზარისა და ანტონინას და მათთან ახლო, შერიგებულთ მეუღლეთა ბედნიერების ყურებაში,—ვეცდები გავაქარწყლო ყოველივე ის, რაზედაც ეჭვი შემივიდა, რაც მაწუხებს და რაც მაძულებს ადამიანსა.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Ноября 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.